პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 234 (9702) | შაბათი, 3 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში (1-ლი გვერდი).
ჩინელი ხალხის დღესასწაული. სამხედრო პარადი და 400-ათასიანი დემონსტრაცია პეკინში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. ვ. გურგენიძე. — როცა კადრებს პირადი ერთგულებისა და ნაცნობობის მიხედვით არჩევენ (მე-2 გვერდი).
ვ. გელაშვილი. — დიდი ლაშქრობის მონაწილენი (მე-2 გვერდი).
საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — საქართველოს [illegible] საკითხები (მე-2 გვერდი).
მკითხველთა წერილები. [illegible] ძვირფას წამოწყებას. მ. მახარაძე. — [illegible] „[illegible] ლისის ცნობარი". საყურადღებო „წვრილმანები" (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო თემაზე. — ი. ტაბაღუა. — ამერიკელ იმპერიალისტთა ხრიკები ირანში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).
თბილისი — ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

გადაუდებელი ამოცანა სოფლის მეურნეობაში

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ყველაზე რთული და დიდმნიშვნელოვანი დარგია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მეცხოველეობის, და პირველ რიგში საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. ახლა იგი პარტიისა და სახელმწიფოს ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1953 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, მეცხოველეობის განვითარებაში შეუწყნარებელი ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, მატყლის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა და კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ". დადგენილებაში დასახულია ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელთა წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას.

ჩვენს ქვეყანას ყველა საშუალება აქვს მოკლე დროში გამოასწოროს ჩამორჩენა მეცხოველეობაში და შექმნას კვების პროდუქტების სიუხვე. ამისათვის, როგორც ეს პლენუმის დადგენილებასა და ამ პლენუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაშია ხაზგასმული, უწინარეს ყოვლისა აუცილებელია წინ წავწიოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, მივიღოთ გადამწყვეტი ზომები ძროხის სულადობის გადიდებისა და კოლმეურნეობებში ჯოგის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

მეცხოველეობის საქმეს წინ ვერ წავწევთ, თუ პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა ჯეროვნად არ მოჰკიდეს ხელი თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობისადმი და, კერძოდ, მეცხოველეობისადმი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზა თავმინებებულ მდგომარეობაშია.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ ახლაც მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ სერიოზული დასკვნები შექმნილი მდგომარეობიდან და ისევ ძველებურად ხელმძღვანელობენ საკვები ბაზის შექმნის საქმეს.

ახლოვდება ზამთარი. პირუტყვის გამოზამთრების მოწყობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მეცხოველეობის აღმავლობის გადაუდებელი ამოცანების წარმატებით შესრულება.

პირუტყვის მომავალი გამოზამთრებისათვის მზადება ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოს სერიოზული გამოცდაა. მათ საქმით უნდა განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითება მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის მიღწევის შესახებ. მხოლოდ ის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელე, სოფლის მეურნეობის მხოლოდ ის მუშაკი გაართმევს თავს ახალ პასუხსაგებ ამოცანას მეცხოველეობის განვითარების დარგში, ვინც არა სიტყვით, არამედ საქმით იბრძოლებს მათი განხორციელებისათვის და მიაღწევს პირუტყვის სრულ უზრუნველყოფას საკვებით, კეთილმოწყობილი სადგომებით, პირუტყვის მოვლისა და კვების გაუმჯობესებას.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება აშკარად არადამაკმაყოფილებელია. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები კვლავ ურიგდებიან ნაკლოვანებებს მეცხოველეობის საქმეში, ჯერ კიდევ არ იგრძნობა მკვეთრი მობრუნება მეცხოველეობაში პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული გადაუდებელი ამოცანების უსწრაფესად გადაჭრისათვის.

უხეში საკვების დაგროვების გეგმა ცუდად სრულდება გარეუბნის, თიანეთის, თეთრი წყაროს რაიონებში. თელავის რაიონში სოფელ ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში დიდძალი ნამჯა მინდორში დატოვეს. ამ რაიონის ლეჩურის, სანიორისა და ჯუღაანის კოლმეურნეობებს უხეში საკვების დამზადების წლიური დავალება სანახევროდაც არ შეუსრულებიათ. საკვები ბაზის ასეთი მდგომარეობა რატომღაც სრულებით არ აშფოთებს აღნიშნული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს.

საკვების დასილოსების ტემპი ბევრგან დაბალია. არის მავნე მიდრეკილება, რომ დასილოსება გვიან შემოდგომისათვის გადადონ. არც დასილოსების ხარისხს ექცევა ყურადღება. ასეთ შეუწყნარებელ ფაქტებს ვხვდებით, მაგალითად, მცხეთის, ხაშურის და სხვა რაიონში.

საკვები ბაზის მომზადების საქმეში ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ზოგიერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგური სუსტ საწარმოო დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს და ცუდად იყენებს იმ ძლავრ ტექნიკას, რომლითაც საბჭოთა სახელმწიფომ აღჭურვა ჩვენი მტს-ები. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ახალციხის, ქსუთისის, სტალინირის და სხვა მტს-ების შესახებ.

ადგილებიდან მოდის სერიოზული სიგნალები იმის შესახებ, რომ მთელ რიგ რაიონებში ჭიანურდება მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა, ამას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან. ერთი მაგალითი. სამხრეთ ოსეთს სერიოზული დავალება აქვს სადგომების მშენებლობის საქმეში, მაგრამ აქ ამ მხრივ კარგი მდგომარეობა ვერ არის. პარტიის საოლქო კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომი მოვალენი არიან სასწრაფო ზომები მიიღონ ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი სხვა მაგალითი, რომელიც გამოზამთრებისათვის მზადებაში შეუწყნარებელ ჩამორჩენას ადასტურებს. მაგრამ საქმე მაგალითების რაოდენობა როდია. ერთი რამ ცხადია: ამ მდგომარეობას თავი რომ დავაღწიოთ, აუცილებელია გადაჭრით ამაღლდეს მეცხოველეობის განვითარებისადმი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის დონე, სასწრაფოდ დამთავრდეს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების ყველა გადაუდებელი სამუშაო.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ დადგენილებას. მეცხოველეები დადგენილების გაცნობისას უღრმეს მადლობას უძღვნიან პარტიასა და მთავრობას მეცხოველეობის სწრაფ აღმავლობასა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებაზე დაუცხრომელი მზრუნველობისათვის, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, ზამთრისათვის სანიმუშოდ მომზადებისათვის.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა შემოქმედებითს თაოსნობას და პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობა წარმართონ მეცხოველეობაში დასახული გადაუდებელი ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის, ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს პარტიისა და მთავრობის დადგენილება, აღაფრთოვანონ ისინი შეუპოვარ ბრძოლაში იმისათვის, რომ მეცხოველეობა გადააქციონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე დარგად.

ცალკე ბროშურად გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ"

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოსცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", მიღებული 1953 წ. 7 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო.

ბროშურის ტირაჟია 40.000 ეგზემპლარი. (საქდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ახალი სახლები მშრომელებისათვის

ლენინგრადი. (საქდესი). 1 ოქტომბერს ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტზე მწყობრში ჩადგა 2.360 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. აქ იცხოვრებენ აგურის ქარხნის მუშები.

სექტემბრის უკანასკნელ დღეებში ქალაქის სხვადასხვა რაიონებსა და გარეუბნებში მწყობრში ჩადგა 30-ზე მეტი სახლი. სულ წლის დამდეგიდან ლენინგრადელ მშრომელთათვის აგებულია ასზე მეტი სახლი.



★

სიმინდის მოსავლის კომბაინით აღება

ძაუჯიკაუ. ჩრდილოეთ ოსეთში სიმინდის უხვი მოსავალია.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო არტელები მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ სახელმწიფოსათვის სიმინდის ჩაბარებას. ამ კულტურის მოსავლის ასაღებად პირველად იყენებენ მანქანებს. დარგკოხის, დიგორისა და არდონის რაიონების ყანებში მუშაობს სიმინდის ასაღები 8 კომბაინი. მანქანები კარგად მუშაობს. კომბაინერები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს.

პარჯიუღი განათლების ქსელში

მოსკოვი. 1 ოქტომბერს პარტიული განათლების ქსელში დაიწყო ახალი სასწავლო წელი. პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეებსა და პოლიტსკოლებში გაიმართა პროპაგანდისტთა შესავალი საუბრები თემაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი".

პარტიული სწავლება დაიწყო მცირელიტრაჟიანი ავტომობილების, სალტეების, სახეხი ჩარხების ქარხნებში, ფაბრიკა „კრასნაია შვეიაში", სვერდლოვის სახელობის ფაბრიკაში და მოსკოვის სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში.

მოსკოვის საწარმოებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში შეიქმნა 2.325 პოლიტსკოლა და პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი და უმაღლესი ტიპის 16 ათასი წრე.

კომუნისტთა ერთი ნაწილი წრეებში შეისწავლის ისტორიულ და დიალექტიკურ მატერიალიზმს, აგრეთვე პოლიტიკურ ეკონომიას. ბევრმა კომუნისტმა გადაწყვიტა დამოუკიდებლად დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

პარტიის რაიონულ კომიტეტებთან იქმნება ლექტორიუმები, სადაც წაკითხულ იქნება ლექციები ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

ვლადივოსტოკი. ზღვისპირეთის მხარის პარტიული განათლების ქსელში დაიწყო ახალი სასწავლო წელი. აქ შარშანდელზე უკეთ შეარჩიეს და მოამზადეს პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების კადრები. პოლიტიკურ სწავლაში ჩაბმული იქნება 68 ათასამდე კომუნისტი და უპარტიო.

ორგანიზებულად დაიწყო მეცადინეობა შორეულ აღმოსავლეთის ნაოსნობის საზღვაო გემებზე. აქ შეიქმნა 192 სხვადასხვა წრე. (საკდესი).

კიევის ოლქი. ბროვარის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. კოლმეურნეებს პირად სარგებლობაში აქვთ მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები, ველოსიპედები, რადიომიმღებები. მარტო უკანასკნელ ხანს სოფლის მცხოვრებლებმა ოთხი ტელევიზორი შეიძინეს.

სურათზე: კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმების გამგის ნ. პ. გრინჩენკოს სახლში. ამხ. გრინჩენკოს ოჯახის წევრები და მეზობლები უყურებენ კიევის სატელევიზო ცენტრის გადაცემას.

ფოტო მ. მელნიკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალი ფასებით

სტავროპოლი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ბლაგოდარნოეს, ნოვო-ალექსანდროვსკის, იზობილნოეს და სხვა რაიონების ველის გზებზე მარცვლეულთან, ხორცით, ბურღულეთან, თაფლით, ერბო-კარაქით, ხილით დატვირთული ავტომანქანების ქარავნებია. ისინი ყველანი რკინიგზის სადგურებისაკენ მიდიან. მხარის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფო გეგმა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტს უკვე ახალ შესასყიდ ფასებში აძლევენ კოოპერაციას.

პიტიგორსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელმა „პროლეტარსკაია ვოლიამ" გაყიდა 615 ათასი მანეთის ხორცი და ახალი, გადიდებული შესასყიდი ფასების მეოხებით 185 ათასი მანეთი წანამატი მიიღო. ნოვო-ალექსანდროვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ კოოპერაციას მიჰყიდა მილიონნახევარი მანეთის ხორცი, რძე და ხორბალი, რითაც კოლმეურნეობამ ძველ ფასებთან შედარებით 231 ათასი მანეთით მეტი მიიღო.

მოლოტოვსკოეს რაიონის კოლმეურნეობებს ხელშეკრულებით კოოპერაციისათვის უნდა მიეყიდნათ 260 ტონა ხორცი. პირუტყვის კარგი გასუქების ორგანიზაციის მეოხებით, მათ მიჰყიდეს 708 ტონა ხორცი.

მხარის კოლმეურნეობები ყიდიან ბევრ მცენარეულ ზეთს, კვერცხს, ხორბალს, თაფლს, რძეს, ბურღულს, ხილს, ბაღჩეულ კულტურებს. უკანასკნელ ორთვენახევარში კოლმეურნეობებმა კოოპერაციას მიჰყიდეს 43 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტი — 26 მილიონი მანეთით მეტი ღირებულებისა, ვიდრე შარშან მთელი წლის განმავლობაში. შესყიდული პროდუქცია აქედან იგზავნება მოსკოვში, სვერდლოვსკში, ბაქოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ქალაქებში.

პარჯიის მოწოდებით — სოფლად

ბაქო. „გთხოვთ გამგზავნოთ სამუშაოდ მტს-ში", — ასეთი განცხადებით მივიდა პარტიის ბაქოს მამტაგის რაიკომში ბაქოს საბურღავი აგრეგატების ქარხნის ზეინკალი ალი ჰეიდარ ნურმამედოვი. ამხ. ნურმამედოვი მრავალ წელს მუშაობდა კარიაგინოს მტს-ში, არემონტებდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და კარგად შეისწავლა ისინი.

პარტიის მოწოდებას ეხმაურებიან და კოლმეურნეობებსა და მტს-ებში სამუშაოდ მიდიან აგრონომები და მელიორატორები, შოფერები, მექანიკოსები. მტს-ში მუშაობა გადაწყვიტა „მტკვარ-არაქსწყალმშენის" სამმართველოს მთავარმა აგრონომმა კომუნისტმა მუგდილ ისკენდეროვმა, რომელსაც სოფლის მეურნეობაში მუშაობის 25 წლის სტაჟი აქვს. მტს-ებსა და კოლმეურნეობებში შრომის სურვილი განაცხადეს აგრეთვე სუმგაიტის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული განყოფილების მთავარმა აგრონომმა ამხ. ტავაკალოვმა, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მებამბეობის სამმართველოს მელიორატორმა ამხ. კნუტოვმა და სხვებმა.

ულან-უდე. ბურიატ-მონღოლეთის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ყოველდღე შემოდის ინჟინრების, ტექნიკოსების, აგრონომების, ვეტერინარი ექიმებისა და სხვა სპეციალისტების ათობით განცხადება. ისინი მუშაობენ რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში და ახლა თხოულობენ, რომ ისინი სამუშაოდ გაგზავნონ მტს-ებსა და კოლმეურნეობებში. (საკდესი).

დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯან ვენ-ტიანმა დარბაზობა გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავის გამო.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ზ. საბუროვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები მ. გ. პერვუხინი, პ. კ. პონომარენკო, ი. გ. კაბანოვი, ი. ა. ბელიდიკოვი, ბ. პ. ბეშჩევი, ს. ნ. კრუგლოვი, ნ. ა. დიგაი, ა. ი. კოზლოვი, ზ. ა. შაშკოვი, პ. ვ. დემენტიევი, ვ. პ. ზოტოვი, პ. ი. ანტროპოვი, ი. ი. ნოსენკო, ი. ა. ლიხაჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. მ. სოკოლოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ს. ა. ბორისოვი, ტ. ბ. მიტროხინი, მ. ა. ევსეევკო, ბ. ლ. ვანიკოვი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ა. ზორინი, პ. ნ. კუმიკინი, ვ. ა. სერგეევი, ნ. ნ. ბესპალოვი, ვ. ნ. სტოლეტოვი, პ. ვ. გუსევკოვი, დ. ვ. ეფრემოვი, ა. ს. კუზმიჩი, პ. ი. პარშინი, ნ. ს. რიჟოვი, ვ. გ. ბაკაევი, ვ. ვ. მაცკევიჩი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, ავიაციის მარშლები პ. ფ. ჟიგარიოვი, ს. ფ. ჟავორონკოვი, არმიის გენერლები მ. ს. მალინინი, კ. ს. მოსკალენკო, ადმირალები ვ. ა. ფოკინი, ვ. ა. ანდრეევი, გენერალ-პოლკოვნიკები ა. ს. ჟელტოვი, ფ. ფ. კუზნეცოვი, ა. ს. ჟადოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრივობისა და პრესის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ჩინეთის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ საელჩოს მრჩევლები გე ბაო-ციუანი, სიუი ტე-მინი, ლი ტაო, დინ დანი, სავაჭრო მრჩეველი სიუი და-შენი, სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი დი ხეი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმრებს შორის იყვნენ შვეიცის ელჩი რ. სულმანი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ა. სკლადანი, ბირმის კავშირის ელჩი მ. ონი, ნორვეგიის ელჩი ი. შივე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ლიმ ხე, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი მ. დალია, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვ. ლევიკოვსკი, ინდოეთის ელჩი კ. მენონი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი ი. ვოშაგლიკი, ნიდერლანდის ელჩი პ. ტეიკსეირა დე მატოსი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი დ. ადილბიში, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი მ. პრიფტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი რ. აპელტი, ფინეთის დესპანი კ. სუნდსტრემი, ეგვიპტის დესპანი ა. ელ მასრი, ავღანეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული მუჰამედ აშრაფ ხანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ვ. ველკოვი, პაკისტანის საქმეთა დროებითი რწმუნებული მაჰმუდ ახმადი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ნგუენ დიკ კუი, შვეიცარიის საქმეთა დროებითი რწმუნებული ჟ. დე სტუცი, დანიის საქმეთა დროებითი რწმუნებული გ. ლარსენი. (საკდესი).

ჩინელი ხალხის დღესასწაული

სამხედრო პარადი და 400-ათასიანი დემონსტრაცია პეკინში

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ზეიმით და საღღესასწაულოდ აღნიშნა დღეს ჩინელმა ხალხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავის დღე.

დილაადრიან ჩინეთის დედაქალაქის საწარმოებთან და დაწესებულებებთან შეიკრიბნენ დემონსტრანტთა კოლონები, რომლებიც გაემართნენ ტიანანმინის ცენტრალური მოედნისაკენ, სადაც ოთხი წლის წინათ მაო ძე-დუნმა გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა, რომელიც აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე ბურჯი გახდა.

ტიანანმინის მოედანი სადღესასწაულოდ არის მორთული.

მწყობრ მწკრივებად დაეწყვნენ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარები. მათ უკან მოედანზე და ახლომახლო ქუჩებში, რამდენადაც კი თვალი მისწვდება, მოჩანს მშრომელთა კოლონების თავზე აღმართული აუარებელი დროშა.

ცენტრალურ და გვერდითს ტრიბუნებზე არიან ჩინელი ხალხის ხელმძღვანელები — ცენტრალური სახალხო მთავრობის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს წევრები, დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. აქვე არიან ჩინეთის წარჩინებული ადამიანები — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გმირები, ჩინელი სახალხო მოხალისეები, რომლებიც კორეაში იბრძოდნენ, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი. ფერადი ტანსაცმლით გამოწყობილან ჩინეთში მოსახლე სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომლებიც დღესასწაულზე ჩამოვიდნენ დედაქალაქში. ტრიბუნებზე არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, უცხოელი სტუმრები.

დილის 10 საათია. დამსწრენი ტაშით ხვდებიან ცენტრალურ ტრიბუნაზე თავმჯდომარის მაო ძე-დუნის და მისი მოადგილეების ლიუ შაოცის, სუნ ძინ-ლინის, ჯან ლანის, ლი ძი-შენის, გაო განის, სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის, ცენტრალური სახალხო მთავრობისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების გამოჩენას.

სახალხო ზეიმს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეოთხე წლისთავის გამო ხსნის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გენერალ-მდივანი ლიმ ბო-ციუ. სახეიმოდ ეკრს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი. გაისმის საარტილერიო სალუტის ზალვები.

ლინ ბო-ძიუი აცხადებს პარადის დაწყებას. ყოფილი ზამთრის სასახლის კარში ავტომანქანაში მდგომი გამოდის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი ჯუ დე. ჯუ დემ მიიღო პარადის სარდლის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შტაბის უფროსის. მოადგილის გენერალ ჯან ძუნ-სუნის პატაკი, ჩამოუარა ჯარებს, მიესალმა მათ და მიულოცა დღესასწაული. შემდეგ იგი ავიდა ტრიბუნაზე და გამოაქვეყნა ბრძანება ჯარებისადმი.

შემდეგ გაიმართა ჯარების პარადი, რომელმაც ცხადყო ჩინელი ხალხის წლითიწლობით მზარდი საბრძოლო თავდაცვითი ძლიერება, რომელიც ემსახურება შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს.

პარადის შემდეგ დაიწყო დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 400 ათასზე მეტმა კაცმა.

სადღესასწაულო დემონსტრაციები გაიმართა ჩინეთის სხვა ქალაქებშიც. შანხაიში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მილიონზე მეტმა კაცმა.

ბულგარეთის მსუბუქი მრეწველობის წარმატებანი

სოფია, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში გაჩაღდა შეჯიბრება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფიდიებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის.

შეჯიბრების მსვლელობაში მსუბუქი მრეწველობის მუშაკები შესანიშნავ შედეგებს აღწევენ. რვა თვის გეგმა ბულგარეთის სახალხო მეურნეობის ამ დარგმა 105 პროცენტით შეასრულა. ბულგარეთის მსუბუქ მრეწველობაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ შრომის მოწინავე სამუშაო მეთოდებს. ამა წლის ექვს თვეში იმ მუშათა რაოდენობა, რომლებიც სამუშაოთა სტახანოველების ლევჩენკოსა და მუხანოვის მეთოდს იყენებენ, 1.282-ით გადიდდა. ამის შედეგად წლის პირველ ნახევარში დაზოგილ იქნა 11,5 მილიონ ლევზე მეტი.

ამა წლის მეორე კვარტალში ბულგარეთის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს 97,5 პროცენტი უმაღლესი ხარისხის საქონელი.

უმაღლესი განათლება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაიღო ჩეხოსლოვაკიის 32 უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის კარები. დაიწყო სასწავლო წელი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. 104 ფაკულტეტზე სწავლობს 50 ათასზე მეტი სტუდენტი.

ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში სულ 9 უნივერსიტეტი და ინსტიტუტი იყო. სახალხო ხელისუფლების წლებში გაიხსნა 23 ახალი სასწავლებელი; 1936-37 სასწავლო წელთან შედარებით სტუდენტთა რაოდენობა 2,5-ჯერ და კიდევ მეტად გადიდდა.

სტუდენტებისათვის მარტო წელს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში აშენდა საერთო საცხოვრებლები 6 ათასი კაცისათვის.

პარტიული ცხოვრება

როცა კადრებს პირადი ერთგულებისა და ნაცნობობის მიხედვით არჩევენ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა გადაუდებელ ამოცანად დასახა უახლოეს დროში განვამტკიცოთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს შემადგენლობა, გავაუმჯობესოთ მუშაობა მათი აღზრდისათვის. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევისას უნდა ვცდილობდეთ, რომ ყოველ კოლმეურნეობას სათავეში ედგეს საქმის მცოდნე, გამოცდილი, პატიოსანი მუშაკი, რომელსაც უნარი შესწევს დარაზმოს კოლმეურნეები და წარმატებით უხელმძღვანელოს მსხვილ მეურნეობას.

სამწუხაროდ, ხაშურის რაიონში ხშირად ამ პრინციპით როდი ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევის დროს. არც ისე იშვიათად პარტიის რაიონული კომიტეტი ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში თავმჯდომარეებად რეკომენდაციას აძლევს სუსტ, საქმის ჩამშლელ და უღირს ადამიანებს.

სოფელ წაღვლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე უხეშად ირღვეოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. იყო თვალსაჩვენები ფაქტები, რისთვისაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელები საკადრისად დაისაჯნენ. ერთი დასაჯილებელი — მთავარი ბუხჰალტერი გ. ნოზაძე რამდენიმე ხანს გარესამუშაოზე იყო წასული. ამჟამად კი იგი რაიკომმა სოფელ კლდისწყაროში დაწინაურა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. გასაკვირველი არ არის, რომ კოლმეურნეობას გ. ნოზაძის მისვლით არაფერი დასტყობია, კვლავ ძველებურად ჩამორჩება.

თვით წაღვლის კოლმეურნეობაში რაიკომმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რეკომენდაცია მისცა ნ. ნოზაძეს, რომელიც მუშაობის ჩაშლისათვის წინათ სოფელ ფლევის კოლმეურნეობიდან იყო მოხსნილი. ამის შემდეგ იგი ერთხანს გომის სოფლის კოოპერატივში „მოღვაწეობდა". აქ ჩადენილი დანაშაულისათვის მას სამი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

როგორ არის ახლა მუშაობა დაყენებული კოლმეურნეობაში? ძალიან ცუდად. არ სრულდება მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები, ჩაშლილია სასილოსე კოშკების მშენებლობისა და სილოსის ჩადების დავალება. წელს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გაჭიანურების გამო დიდი იყო დანაკარგები. ჰექტარზე საშუალოდ აიღეს 2,5 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14,5 ცენტნერისა. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მეორე პერიოდში არასაპატიო მიზეზით შრომადღეების მინიმუმი არ გამოუმუშავებია კოლმეურნეთა დიდ ჯგუფს.

1947 წლის ივნისში სოფელ თხილნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან მოიხსნა კომბინატორი ნ. ჩოჩიშვილი, რომელსაც 20 ათასი მანეთის გაფლანგვა აღმოაჩნდა. როცა ეს ფაქტი გამომჟღავნდა და დამნაშავე კოლმეურნეთა საერთო კრების წინაშე წარსდგა, მან უსირცხვილოდ განუცხადა კოლმეურნეებს — ფული ცოლის ავადმყოფობაზე შემომეხარჯაო. მაშინ იგი პასუხისგებაში არ მისცეს (!) და მხოლოდ მითვისებული თანხის დაფარვა აკმარეს. ამ ცოტა ხნის წინათ რაიკომმა ეს აკკარა ბოროტმოქმედი სოფელ გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გაგზავნა.

რამდენიმე წლის წინათ რაიკომმა გ. ამაშუკელი, როგორც უდისციპლინო და უქნარა, მოხსნა ხაშურის ქალაქის სასტუმროს გამგის თანამდებობიდან. მაგრამ შარშან პარტიის რაიკომმა იგი მუშაობის „გამოსასწორებლად" სოფელ ცხრამუხის კოლმეურნეობაში გაგზავნა. თუ როგორ გამოასწორა მან საქმე, ეს იქიდან ჩანს, რომ ერთი თვის წინათ რაიკომი იძულებული გახდა გ. ამაშუკელი კოლმეურნეთა მოთხოვნით სამუშაოდან მოეხსნა. ახლა ცხრამუხაში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს გამოუსწორებელი კომბინატორი ვ. ღონღაძე, რომელიც წინათ პურკომბინატის დირექტორობიდან იყო მოხსნილი ყოფაცხოვრებითი გახრწნილებისათვის, შემდეგ კი არტელ „წითელ სურამში" ჩადენილი კომბინაციისათვის ერთი წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

საკოლმეურნეო კადრების შერჩევის კომუნისტური პრინციპის დარღვევას ხელს უწყობს ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. მეტრეველიც. მან სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაში თითქმის თავი სიანების ოჯახი შექმნა. იგი, როგორც ამ სოფლის „კაცი", განსაკუთრებულ მეურვეობას იჩენს ზემო ოსიაურის კოლმეურნეობისადმი, რაც ძვირად უჯდებათ კოლმეურნეებს.

გ. მეტრეველის ცოლისძმა ა. ტუსიაშვილი კოლმეურნეობის მეწისქვილედ მუშაობდა. სამინდე გამოსაღების მითვისებისათვის მას ერთი წლის იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს. ამის შემდეგ იგი საწყობის გამგედ დააყენეს და იქიდანაც მალე გააძევეს.

ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კარგა ხანს მუშაობდა გ. მეტრეველის მეორე ნათესავი — ი. ტუსიაშვილი, რომელსაც ბოროტმოქმედების ჩადენისათვის შარშან ათი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ამის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გ. მეტრეველმა კოლმეურნეებს ძალად მოახვია თავს მესამე ნათესავი — ავადმყოფი და ხელმძღვანელობის უნარს მოკლებული ან. ტუსიაშვილი. ამ უკანასკნელმა მთლიანად ჩაშალა მუშაობა კოლმეურნეობაში. ერთი თვის წინათ მას განცხადება დააწერინეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს. მის ნაცვლად პარტიის რაიკომმა დროებით კვლავ რეკომენდაცია მისცა პატიმრობიდან ახლად გამოსულ ი. ტუსიაშვილს. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. მეტრეველის მეშვეობით მისი მეოთხე ნათესავი არ. ტუსიაშვილი სოფელ ქვემო ოსიაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არის დაწინაურებული.

როგორც ამ ფაქტებიდან ჩანს, პარტიის ხაშურის რაიკომი, მისი პირველი მდივანი ამხ. ა. ნოზაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. მეტრეველი უხეშად არღვევენ საკოლმეურნეო დემოკრატიისა და კადრების შერჩევის პრინციპს, არ იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისათვის. ამის გამო რაონის კოლმეურნეობებში სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია. მაგალითად, შარშან სოფელ თხილნარის კოლმეურნეობაში 14 სული ხარი კოლმეურნეობის წევრთა პირადი ვალდებულების ანგარიშში ჩაანბარეს, მათი ღირებულება კი ახლაც აუნაზღაურებელია. არის საკოლმეურნეო შიწების დატაცების შემთხვევებიც. კოლმეურნეებმა — ძმებმა თ. და ს. ხარებაშვილებმა მიიტაცეს 0,40 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწის ფართობი. ამის შესახებ ეცნობა რაიაღმასკომის ხელმძღვანელობას, მაგრამ ეს ფაქტი უყურადღებოდ დარჩა.

პარტიის ხაშურის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ღრმად არ სწვდებიან კოლმეურნეობათა ეკონომიკას, კონკრეტული დახმარების ნაცვლად გადაყოლილი არიან თათბირებს. ამიტომ არის, რომ რაიონში სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი ჩამორჩენილია.

კადრების შერჩევა მეგობრული დამოკიდებულების, პირადი ერთგულების, თანასოფლელობისა და ნათესაობის ნიშნით სერიოზულ ზიანს აყენებს საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეს.

ვ. გურგენიძე,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა

ჯავა. („კომუნისტის" კორ.). პარტიის რაიკომმა მოიწვია აგიტატორების და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა რაიონული თათბირი, სადაც განმარტებულ იქნა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ადგილებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა.

რაიკომმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების განსახორციელებლად კოლმეურნეთა უკეთ დარაზმვის მიზნით სოფლებში მიავლინა 20 პასუხისმგებელი მუშაკი. ისინი გამოდიან მოხსენებებით მშრომელთა წინაშე, მართავენ საუბრებს პლენუმის გადაწყვეტილებათა გარშემო.

პარტიულმა ბიბლიოთეკამ მოაწყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მასალების გამოფენა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ვახტზე დგას 900 სტახანოველი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მოწინავე ადამიანები საოქტომბრო სტახანოვურ ვახტზე დადგნენ. სულ ამჟამად ქარხანაში ვახტზე დგას 900 სტახანოველი. მათ შორის განსაკუთრებით დაწინაურდნენ ნოვატორი ხარატი ი. ჯუმბურიძე, რომელმაც მიაღწია ყოველდღიური დავალების სისტემატურად 350 პროცენტით შესრულებას. მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი მოწინავე მეჭვალე ი. მაჩაიძე საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის პირველი დღეებიდანვე დღიურ დავალებებს სამმაგად ანაღდებს.

საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ აგრეთვე სამგზავრო-საავტომობილო საამქროს სტახანოველები ი. ხმალაძე, დ. ფეიქრიშვილი, ა. სოტნიაშვილი, გ. დათუაშვილი.

ი. ბოლქვაძე,

საქარხნო მრავალტრაჟიანი გაზეთის რედაქტორი.

ფოლადი გეგმის გადამეტებით

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის მეორეკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ოლექტივი წარმატებით იბრძვის საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განადგურებისათვის. ურთიერთშეთანხმებული, მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ახალგაზრდა მეფოლადეებმა სექტემბერში 160-მდე ჩქაროსნული დნობა განახორციელეს და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს რამდენიმე ასეული ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი.

სექტემბერში განსორციელებული ნოვაცია ჩქაროსნული დნობიდან მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებულ იქნა 8-8,5 საათში, ხოლო მეფოლადეებმა ამირან ფანცულაიამ, გრიგოლ ბერეკაშვილმა და ზურაბ კვახაძემ დნობის ხანგრძლივობა 7 საათამდე შეამცირეს.

მევაგონეების წარმატება

სამტრედია. (საკ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის პირველი თვე — სექტემბერი სამტრედიელმა მევაგონეებმა ახალი წარმატებით აღნიშნეს: სექტემბრის საწარმოო დავალება ვადაზე 5 დღით ადრე — 25 სექტემბრისათვის გაანაღდეს, ვაგონების კაპიტალური შეკეთების თვიური გეგმა 150 პროცენტით შეასრულეს, ხოლო საშუალო შეკეთების გეგმა — 138 პროცენტით.

სამტრედიელი მევაგონეები 7 ნოემბრისათვის უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსპოვებლად ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ბათუმელ და ლენინაკანელ მევაგონეებთან.

საწარმოო ალმავლობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის მრეწველობაში მძლავრი საწარმოო ალმავლობაა. მარგანეცის ტრესტმა ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა მარგანეცის დამზადების ცხრა თვის გეგმა. კვლავ წინ მიდის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას და საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროს სიპატიო სახელწოდებას. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობს მაღაროს მანქანა გამაუზვებელი ცენტრალური ფაბრიკის კოლექტივი. იგი გეგმის გადამეტებით იძლევა პირველხარისხოვან მარგანეცს და თვითღირებულების შემცირებით წელს მილიონ მანეთზე მეტი თანხა დაზოგა.

მარგანეცს გეგმის გადამეტებით იძლევიან აგრეთვე სტალინის, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

პრესის მიმოხილვა

საქალაქო გაზეთი და ვაჭრობის საკითხები

ჩვენი ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში დიდ როლს ასრულებს საბჭოთა ვაჭრობა. ამიტომ ვაჭრობის საკითხების გაშუქება საბჭოთა პრესის, მისი მრავალრიცხოვანი არმიის — საქალაქო და რაიონული გაზეთების პირველხარისხოვანი ამოცანაა.

როგორ ასრულებს ამ ამოცანას ჭიათურის საქალაქო გაზეთი **„ჭიათურის მაღაროელი"?**

ჭიათურა ჩვენი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრია. მას ჰყავს მუშათა შესანიშნავი კადრები და მოწინავე ინტელიგენცია. მათი კეთილდღეობა და მოთხოვნილება გაუუწყვეტლივ იზრდება. ქალაქის სავაჭრო ქსელი კი ჭიათურის მშრომელთა ამ გაზრდილ მოთხოვნილებას ხშირად ვერ აკმაყოფილებს. ქალაქში 130-მდე სავაჭრო წერტილ მუშაობს. მაგრამ მთელ რიგ მაღაზიებში ვერ იშოვნით პირველი მოთხოვნილების სამრეწველო და სასურსათო საქონელს, ბევრგან უწესრიგობა და უსუფთაობაა. არის ბოროტმოქმედების, სახელმწიფო ქონების გაფლანგვის, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევებიც.

ვერ ვიტყვით, რომ „ჭიათურის მაღაროელი" არ ეხმაურებოდეს ამ საკითხებს, არ აშუქებდეს სავაჭრო ქსელის საქმიანობას, ხშირად მზის სინათლეზე არ გამოჰქონდეს ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი. გაზეთში იბეჭდება სტატიები თუ შენიშვნები სავაჭრო ქსელის მუშაობაზე. რედაქცია აწყობს რეიდებს სავაჭრო მაღაზიებსა და სასადილოებში.

მაგალითად, მაისში სავაჭრო ქსელის შესამოწმებლად მოწყობილმა რეიდმა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი გამოავლინა. რეიდის მასალა 17 მაისის ნომერში დაიბეჭდა. ეს მასალა კონკრეტული ფაქტებით მოგვითხრობდა ცალკეული სავაჭრო მაღაზიებისა და სასადილოების უხეირო მუშაობას, ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებს. მასში კანონიერად იყო გაკრიტიკებული საქვაჭრობის ჭიათურის განყოფილება და მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილება სავაჭრო ქსელისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის.

17 ივნისს რუბრიკით „ჩვენ გვწერენ" დაიბეჭდა წერილი „როდემდის გაგრძელდება ასე". წერილი ყურადღებას ამახვილებდა გამომცხვარი პურის ტრანსპორტირების ნაკლოვანებებზე, კერძოდ, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პურის გადაზიდვის დროს დაცული არ არის სათანადო სისუფთავე, გადასაზიდი ყუთები ჭუჭყიანია, გადამზიდველებად შემთხვევით პირებს ამუშავებენ.

„ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები, — წერდა გაზეთი 19 ივნისს გამოქვეყნებულ წერილში, — სათანადოდ არ სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას. სავაჭრო მაღაზიებში სრულებით არ არის მოზრდილთა სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელი, არ იშოვნება თეთრი ტილო, მამაკაცის სხვადასხვა ფასონის ფეხსაცმელი. ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში, ქალაქში საკმაო რაოდენობით არ არის ლუდი, ძეხვეული, ხორცი, თევზი, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები".

ქალაქის ზოგიერთ განაპირა უბნებში არ არის სასურსათო მაღაზიები. ამ უბნების მცხოვრებლები ყოველ წვრილმანზე ქალაქის ცენტრში მიდიან. მოუგვარებელია მოსახლეობისათვის ადგილზე ნავთის მიწოდების საქმეც. ბევრი მაღაზია მოუწყობელია.

აკრიტიკებენ რა ქალაქის სავაჭრო ქსელის ნაკლოვანებებს; წერილის ავტორები ამ ნაკლოვანებების ძირითად მიზეზად სამართლიანად მიიჩნევენ საქვაჭრობის ჭიათურის განყოფილებისა და მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების მოუქნელ მუშაობას.

ქალაქის სავაჭრო ქსელის მუშაობის ნაკლოვანებანი, საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯებანი მკაცრად გაკრიტიკებულია 9 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ წერილში „გადაჭრით გავაუმჯობესოთ საბჭოთა... ვაჭრობა". წერილი კონკრეტულ ფაქტებზეა აგებული.

გაზეთმა საბჭოთა ვაჭრობის საკითხებს რამდენიმე მოწინავე სტატია მიუძღვნა. მართალია, ეს სტატიები მოკლებული არ არიან ფაქტებს, მაგრამ მათი ნაკლი ის არის, რომ კონკრეტულად არ მიუთითებენ უახლოეს ამოცანებზე, არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე.

მიუხედავად მასალების სიჭარბისა, გაზეთს ვაჭრობის საკითხების გამუქება აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. წერილებში ხშირად დასახელებულია დადებითი მუშაობის მაგალითები, მაგრამ ძალიან ზოგადად. გაზეთი არ ცდილობს კარგი, დადებითი მუშაობა ყველას კუთვნილებად გახადოს, არ აშუქებს მოწინავე სავაჭრო ობიექტების გამოცდილებას. თითქმის ვერ შეხვდებით წერილებს ვაჭრობის დარგის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე, იმის შესახებ, თუ როგორ ზრდიან პარტიული ორგანიზაციები სავაჭრო ქსელის მუშაკებს მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული პარტიის წესდებით სავაჭრო დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. ამ უფლების სწორად გამოყენება, ვაჭრობის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება სავაჭრო ქსელში არსებულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა გამოსწორების, ვაჭრობის უკეთესად მოწყობის ძირითადი პირობაა. „ჭიათურის მაღაროელი" კი ამ საკითხებს თითქმის არ ეხმაურება.

გაზეთის ვალია სისტემატურად, ღრმად, საქმის ცოდნით გაამუქოს ვაჭრობის საკითხები, ფართოდ უჩვენოს დადებითი გამოცდილება, ჯანსაღი, პრინციპული კრიტიკით დაეხმაროს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ნამდვილად კულტურული ვაჭრობის მოწყობაში.

გაზეთი ამასთანავე ერთად მოვალეა სისტემატურად გამოაქვეყნოს გამხმაურებანი გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილებზე, გაურკვეველი არ უნდა დატოვოს მკითხველი თუ რა შედეგი მოჰყვა გაზეთის კრიტიკულ გამოსვლებს.

დიდი დაშქრობის მონაწილენი

ჯოხს იშველიებდა, უჭირდა ადმართში სიარული. ვეღარ ნთან შედგა, ხელი მოიჩრდილა, გახედა მოშრიალე, დაყურსულ ვაზებს. მერე ისევ კოჭლობით შეაყვა ღობისპირს მიმავალ გზას.

ჩემმა თანამგზავრმა იგი იცნო და, ვიდრე წამოვეწეოდით, დაუსწრებლად გამაცნო:

— შაქრო ფსუტური, კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე. ფეხი ფრონტზე მიღებული ჭრილობის გამო დაუზიანდა.

წინწასული ხშირად ისვენებდა. შეგვამჩნია, დაგველოდა. როცა სოფელში ჩვენი მისვლის მიზეზი შეიტყო, გვითხრა:

— ახლა კოლმეურნეთა უმრავლესობა ბადვენახშია. ეს-ეს არის მათთან წავიდნენ აგიტატორები, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება უნდა გააცნონ.

ფსუტურმა ვენახში შესასვლელი მონახა და შეგვიძღვა. ნელა და ფრთხილად მიდიოდა. ისევ ჩამორჩა, მოგვაძახა:

— დაუცადეთ წინამძღოლს, ასე აჯობებს.

ვიდრე ვენახში ლარიგით სწორ, მწკანე გზას მივყვებოდით, შაქრო მოკლედ გვიამბობდა, თუ რა სიხარული გამოიწვია მის თანასოფლელთა შორის პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ.

— ახლა ყველა ამ გადაწყვეტილებაზე ლაპარაკობს.

თითქოს ამ სიტყვებს ადასტურებსო, მოულოდნელად მოგვესმა:

— შაქრო, სალამოთი ხომ კიდევ მოვა ჩვენთან აგიტატორი?

შუახნის დედაკაცი წამოგვეწია. იგი დოქით მიიჩქაროდა წყაროსაკენ. ფსუტური შეეკითხა:

— სიდო, ძროხები ვის დაუტოვე, რომ წამოსულხარ?

— ჩემი უფროსი ქალიშვილი რუზანია ძროხებთან, — თქვა ქალმა და დაუმატა, — ალბათ, სალამოთი მოვა აგიტატორი. ქალებმა მოვიალაპარაკეთ მთელ რიგ საკითხებზე. გვინდა შენი და აგიტატორის თანადასწრებით შევამოწმოთ ჩვენი აზრი.

სიდო მორბედაძე ექვსი შვილის დედაა, სამხრეთ ოსეთის სოფელ ნიბაში დეპუტატია. მის სიტყვას აფასებენ სოფელში. ყველა მნიშვნელოვან საქმეზე აინტერესებთ მისი შეხედულება. ცნობისმოყვარეობამ სძლია ფერმის გამგესაც — რა მოიალაპარაკეს მწველავმა ქალებმა ახალ დადგენილებასთან დაკავშირებით?

სიდომ დოქი ბალახში ჩადგა. წუნარად, უბრალოდ დაიწყო: აგიტატორი ახალ გაზეთს გვიკითხავდა. ვუსმენდით. როცა მეცხოველეობის საკითხებს შეეხო, უფრო მკაფიოდ დავინახეთ ჩვენი ფერმის ნაკლოვანებანიც. ძროხების წველადობის გეგმებს ვერ ვასრულებთ. როცა გვისაყვედურებენ, ვამბობთ, — რა ქნათ, უჯიშო ძროხები გვყავსო. მერე ეს ვისი ბრალია? მოვაშენოთ კარგი ჯიშის საკონელი. მეტი ფასი დავდოთ ჩვენ მიერ გაწეულ შრომას. ახლა საქმე ისე ეწყობა, რომ... ეს რა, ისე ვლაპარაკობ თითქოს კრებაზე ვიყო, — გაიცინა სიდომ, გაჩუმდა, მერე კვლავ განაგრძო. — თუმცა აუცილებელი არ არის მარტო კრებაზე ვილაპარაკოთ ახალ ამოცანებზე, ახალ საქმეებზე, იმედებსა და სიხარულზე.

ფერმის გამგე შეეპირდა, რომ იგი აგიტატორს აუცილებლად გაჰყვებოდა ფერმაში.

ქალი გაეშურა წყაროსაკენ. მისი მანდილი დროდადრო გამოჩნდებოდა ვაზების მწკრივიდან. მიიჩქაროდა დედა. მისი ქმარი დიდ სამამულო ომში დაილუპა. ახლაც კარგად ახსოვთ ის დღეები სოფელში: მოხუცი მამაკაცები და ქალები დარჩნენ. ცდებოდნენ გუთნეულები.

სიდო გიგო ღარიბაშვილთან მივიდა.

— ბაბუა, მეხრედ ვიმუშავებ.

როგორც სჩვეოდა ხოლმე, გიგომ თვალი მოჭუტა და ქალს შეხედა:

— კარგი ოჯახის დედა ხარ, შეგშვენის ვაჟკაცური საქმე.

გიგო ღარიბაშვილს, ღრმა მოხუცს უჭირდა გუთნისათვის მიყოლა. სიდო შეეცადა ხოლმე. ხნავდნენ, თესავდნენ, მოპყავდათ მოსავალი.

ამ მკაცრ დღეებში, მილიონობით სხვა ადამიანებთან ერთად მშვიდობისათვის იბრძოდა სიდო მორბედაძე. უბრალო მთიელი ქალი მტკიცედ მიჰყვებოდა პარტიის მიერ ნაჩვენებ გზას. ამ გზით მივიდა იგი მშვიდობამდე. დღეს მხურვალე სიყვარულით ეცნობა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის პარტიის მიერ დასახულ გრანდიოზულ პროგრამას. მას უყვარს თავისი სოფელი. ხურს, რომ იგი არ ჩამორჩეს ცხოვრების მძლავრ წინსვლას, იყოს სამაგალითო...

გიგო ღარიბაშვილს მეხრეებისათვის ეამბნა:

— ბარის კოლმეურნეებს კიდევ არა უშავთ რა. ტრაქტორის მუშობას ვუყურე. დალოცვილი მანქანაა. მეზობლის სიკეთე როგორ შეგშურდება, გული კი დამწყდა, რომ ასეთი დიდებული მანქანა ჩვენს ფერდობებზე ვერ იმუშავებს.

ორმოცდათერთმეტი წლის შემოდგომაზე ქსნის ხეობის დაკლაკნილ გზაზე პირველი ტრაქტორი გამოჩნდა. მეზობლის ბიჭი მახაროს ბელიგით შეიჭრა გიგო ღარიბაშვილის ეზოში.

— ტრაქტორი მოდის, ტრაქტორი!

ბავშვებს მოზრდილებიც შეერივნენ. მოგუგუნე მანქანას სოფლისაკენ მოაცილებდნენ, გზას ულოცავდნენ.

მექანიზატორმა დაათვალიერა ფერდობები, მთიელებს იმედიანი სიტყვა გააგონა, მაგრამ ყველაფერს ის სჯობდა, როცა ტრაქტორმა გადახნა მიწა, კოლმეურნეებს შრომა შეუმსუბუქა.

აქ, ლენინგორის რაიონის სოფელ წირქოლის კოლმეურნეობა „შრომაში" ახლა ფართოდ ინერგება მექანიზაცია. მალე დაამთავრებენ საშემოდგომო ხვნას. წინათ, სანამ ტრაქტორები დაიწყებდნენ წირქოლში მუშაობას, ამ დროისათვის ხვნა ხშირად დაწყებულიც არ ჰქონდათ ხოლმე.

შაქრო ფსუტურმა ნახნავებისაკენ გაგვიყვანა. ისეთ ფერდობებზე გავიარეთ, მუხლუხოს ანბებეჯდები რომ არ ნახოს კაცმა, იფიქრებს, აქ ტრაქტორის მუშობა შეუძლებელიაო. ლენინგორის მტს-ის ტრაქტორისტ შიო გუსაიეს მოხერხებულად უტარებია მანქანა და სამოცი ჰექტარი დაუხნავს.

მექანიზატორის სიყოჩაღეზე ვლაპარაკობდით. ფსუტური გვიჩვენებდა ფართობებს, სადაც ტრაქტორი მუშობდა. ნახნავში ორნი გამოჩნდნენ: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილია შერმადინი და მეკენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი არჩილ ხალიბეგაშვილი. ხილის მკრეფავებთან ყოფილიყვნენ.

— უხვი შემოდგომა გვაქვს, — თქვა შერმადინმა. — ნაამაგარი მინდვრები ბარაქიან კალთას იბერტყავენ.

წირქოლელებს დაუბინავებიათ პურეულის მოსავალი. შარშანდელთან შედარებით ჰექტარზე წელს ხუთი ცენტნერით მეტი პური მიიღეს. მთის კოლმეურნეობაში, სადაც რაღაც ასთორმეტ ჰექტარზე ეთესათ პურეული, შრომადღეზე 2,5 კილოგრამი ხორბალი ნაწილდება. შრომისმოყვარე კოლმეურნის ოჯახი დაკმაყოფილებულია შრომადღეებზე მიღებული ჭირნახული.

სოფელში ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს შემოდგომის პურეულის თესვა. საიმედო საფუძველი ეყრება მომავალი წლის მყარ მოსავალს.

— ჩვენს კოლმეურნეობაში მალე მუშაობას დაიწყებს აგრონომი, — შენიშნეს კოლმეურნეებმა. — ის დაგვეხმარება. უფრო ავამაღლებთ მოსავლიანობას. ახლა ჩვენი საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ მომავალ წელს ჰექტარზე 7 ცენტნერით მეტი პურეული მივიღოთ, ვიდრე წელს.

საერთო ყურადღებას იქცევს წირქოლელ მეკენახეთა წარმატება. შარშანდელი მოსავლით მათ შორს გაითქვეს სახელი — მთის ზონაში ჰექტარზე 110 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

წელს? უნდა ნახოთ დამძიმებული ვაზები. ჩაშაქრებული მტევნები, ნიავის ყოველ ჩაბოროლებაზე ფოთლები რომ ჩამოცილდებათ, გაშიშვლებიან, მზეზე აკიაფდებიან ხოლმე ქარვისფრად!

გეგმაზე ორმაგად მეტ ყურძნის მოსავალს მოელიან.

არჩილ ხალიბეგაშვილი, მევენახეთა წინამძღოლი, დგას ვენახის თავში. იგი ქმაყოფილია. ამჯობინებს ცოტა ილაპარაკოს თავის საქმიანობაზე. აგერ ვენახი დაათვალიერეთ. თვითონ ვაზი, მტევანი ლაპარაკობს მომვლელის ენერგიაზე.

იყო დრო, წირქოლში ეჭვით უყურებდნენ ვაზს: მთაა, ნაზ მცენარეს ჩვენებური მავა დაჩაგრავსო.

კოლმეურნე ვასილ ხრიკული ესაუბრა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს. შემოიარეს სოფლის ფერდობები.

— აქ მზის გულიც არის, მიწაც კარგია! — შეჩერდნენ ერთ ნაკვეთზე.

ჩაამწკრივეს ვაზები. კარგი ძოძუ აწოვა წირქოლის მიწამ ახალმოსახლე მცენარეს. მზემაც გაათამამა. ეს იყო თხუთმეტიოდე წლის წინათ.

ვასილ ხრიკულმა გაიხსენა — ვრგავდით ვაზებს, მეზობლებს იმედიანად ველაპარაკებოდით, გულში კი ვამბობდით, ვაი თუ არ გაგვიმართლოს! მთაში ხანნავ-ხათესი მიწის ფონდი ცოტაა. ვენახმა რომ მოგვიცდენოს მიწა, სოფელი გვიხაყვედურებს, მაგრამ როცა ახალ საქმეს აკეთებ, ნაბიჯს წინ დგამ, საკუთარ თავს ძალა უნდა დაატანო, არ უნდა იფიქრო, გამლანძღავენ, რაც თავსატეხ საქმეს მოვკიდო ხელიო.

იხარა ვაზმა!

მოვა თუ არა ყურძენი? — ახლა აღარავინ კითხულობს წირქოლში. ყოველ გაზაფხულზე მიუთითებენ მაღალ ციფრებზე. შემოდგომით კი ყურძნის მოსავალი ამ ციფრებს უკან მოიტოვებს ხოლმე.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის განთქმული მევენახე ვასილ ხრიკული ორჯერ დაჯილდოეს ლენინის ორდენით. როცა საზეიმო დღეა, მთიელი მკერდს დაიმშვენებს ხოლმე უმაღლესი ჯილდოებით. გული კი ახალი ძალით განიცდის ვაზის სიყვარულს.

საამაყო მეგობრები ჰყავს ვასილს. სამოცი წლის მევენახეს შიო მორბედაძეს შრომის წითელი დროშის ორი ორდენი აქვს.

როცა საუბარი შიო მორბედაძეს შეეხო, ყველასათვის შესამჩნევი გახდა, რომ შაქრო ფსუტურმა თავი შეიკავა.

ჩემი სიმამრია, უმჯობესია ხსენებმა ილაპარაკონო.

შიომ ომგადახდილ ვაჟკაცს თავისი ქალიშვილი თამარი მიათხოვა. მევენახემ წირქოლელი ღვინით დაულოცა ახალგაზრდებს ცხოვრების გზა.

თამარი ახლაც მხარში უდგას მამას. მშობლისაგან უსწავლია ვაზის ვე-კარგი. იგი მოწინავე მევენახეა.

როცა მევენახეებთან აგიტატორი საუბრობდა, შიო მორბედაძემ იკითხა: — შვილო, ერთი წაგვიკითხე მევენახეებს რა გვავალებენ.

„წესრიგზე მოიყვანონ არსებული ბაღები, ვენახები და საკენკრეები, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მათი დაღუპვა ცუდი მოვლის გამო და უზრუნველყონ 1954 წელს ნაყოფის, ყურძნისა და ხილის უხვი მოსავლის მიღება", — დინჯად, გასაგებად ამოიკითხა აგიტატორმ

მკითხველთა წერილები

მივგაძოთ ძვირფას წამოწყებას

ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების საგზაო მუშაკებმა; მათ მთელი რიგი საავტომობილო გზების გაყოლებით გაშენეს ხეხილის ბაღები.

მოსკოვ-სიმფეროპოლის საავტომობილო გზის ერთ უბანს 15 კილომეტრის მანძილზე მისდევს ხეხილის ბაღი. უკრაინაში უეგოროდ-მუკაჩევოს საავტომობილო გზის გაყოლებით 25 კილომეტრის მანძილზე დარგულია ბაღი, ბიჩკოვ-ბერეგოვო-ჩოპის საავტომობილო გზაზე — 50 კილომეტრის მანძილზე — ვაშლი, ვინიცის ოლქის საავტომობილო გზების გაყოლებით — ქლიავის ხეები.

საავტომობილო გზების გაყოლებით ხეხილის ბაღების გაშენების საქმეში ყველაზე მეტი მონდომება უკრაინელმა გზის მუშაკებმა გამოიჩინეს. ეს ღონისძიება სხვა რესპუბლიკებშიც ხორციელდება: ჩუვაშეთში ჩებოკსარ-კანაშის საავტომობილო გზის გაყოლებით დარგეს 100 ათასი ძირი მოცხარი და ასკილი. ხეხილის ბაღები გაშენებულია იმ საავტომობილო გზების მიმართულებით, რომლებიც მოსკოვში მიდიან.

გზების გაყოლებით ხეხილის ბაღების გაშენება დიდად აუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის გზებზე მოგზაურობის პირობებს, უფრო ლამაზსა და მიმზიდველს ხდის მათ, ხელს უწყობს მშრომელთა კეთილდღეობას.

ჩვენს რესპუბლიკაში გზების გაყოლებით ხეხილის ბაღების გაშენების ყველა აუცილებელი და მეტად ხელსაყრელი პირობებია. მართალია ყოველწლიურად ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ასეულ ათასობით ნარგავები ირგვება, მაგრამ ეს ღონისძიება, სამწუხაროდ, ცალმხრივად ტარდება. ძირითადად გამწვანება მხოლოდ მუდამმწვანე და სხვა დეკორაციული ნარგავებით ხდება. ხეხილი ან სრულებით არ ირგვება, ან ირგვება მეტად მცირე რაოდენობით.

მომმე რესპუბლიკების გზის მუშაკების შესანიშნავ ინიციატივას ჩვენი რესპუბლიკის გზის მუშაკებიც უნდა გამოეხმაურონ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საამინისტრო, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, საგზაო განყოფილებანი სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ შესანიშნავი წამოწყების გადმოტანას ჩვენს რესპუბლიკაში.

ა. სადრაძე,
ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

უნდა გამოიცეს „თბილისის ცნობარი“

თბილისი — ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი — მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. უკანასკნელი ხუთწლედების მანძილზე მან სახე იცვალა, უფრო კეთილმოწყობილი და მშვენიერი გახდა. ქალაქში გაყვანილ იქნა მრავალი ახალი ქუჩა, მას შეემატა მრავალი ახალი შენობა, დაწესებულება, საწარმო, პარკი, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულება და ობიექტი.

ჩამოსულთათვის, ვინც თბილისს კარგად არ იცნობს, ძნელი ხდება ქალაქში გზის გაკვლევა. ნწირად თვითონ მოძრაობის მომწესრიგებელი და გუშაგი მილიციელები სათანადოდ არ იცნობენ თბილისის მდებარეობასა და მის ღირსშესანიშნავ, საჭირო ობიექტებს. ჩამოსულ მგზავრს კი კითხვაზე — სად მდებარეობს ესა თუ ის დაწესებულება ან საწარმო, როგორ გავიდეს ამა თუ იმ ქუჩაზე, ქალაქის ტრანსპორტის რომელი მარშრუტი მიიყვანს მისთვის საჭირო უბანში, — მილიციის ყველა მუშაკი სწორ პასუხს ვერ გასცემს.

მშრომელთა უკეთესი კულტურული მომსახურება მოითხოვს მოწესრიგდეს ეს მდგომარეობა. ამ მხრივ დიდი „თბილისის ცნობარის“ გამოცემის საჭიროება, რომელშიც მგზავრი მისთვის საჭირო მისამართებსა და სხვა ცნობებს ამოიკითხავს.

„თბილისის ცნობარი“ ჯერ კიდევ ომამდე, 1940 წელს გამოიცა. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენად სწორად და მაღალკვალიფიციურად იყო შედგენილი ეს ცნობარი. ერთი რამ კი ცხადია: ჯერ-ერთი, „ცნობარი“ თავის დროისთვისაც მეტად მცირე ტირაჟით გამოვიდა; მეორე, თუ სადმე კიდევ არის დარჩენილი მისი ეგზემპლარები, მასში ახლა უკვე ვერ იპოვნით საჭირო სწორ ცნობებს, ვინაიდან ქალაქმა მას შემდეგ დიდი ცვლილებები განიცადა.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი ახალ ცნობარს მოითხოვს.

„თბილისის ცნობარის“ შედგენა-გამოცემისათვის პირველ რიგში სერიოზულად უნდა იფიქროს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ.

მ. მახარაძე,
თბილისის მილიციის მე-5 განყოფილების უფროსი გამომძიებელი.

საყურადღებო „წვრილმანები“

უპატრონოდ მიტოვებული გადასასვლელი

ხადგურ მახარაძის მახლობლად არის რკინიგზის ლიანდაგზე გადასასვლელი, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობა და ავტოტრანსპორტი. ეს გადასასვლელი მიტოვებულია უპატრონოდ, მას დარაჯი არა ჰყავს და ამის შედეგად ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო მოვალეა მოაწყოს ამ გადასასვლელის დაცვა.

მ. შარაშიძე,
მახარაძის საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების მთავარი ინჟინერი.

უთავბოლო მშენებლები

თბილისში, ორჯონიკიძის რაიონში მეტალურგიხა და რაზმაძის ქუჩებში უთავბოლო მშენებლებმა ამოიღეს ტრანშეა წყალსადენის მილების ჩასაწყობად, გადათხარეს ქუჩა, ყამირის გორაკები გააკეთეს და მიატოვეს. მრავალი თვის განმავლობაში ეს ქუჩა ასე იყო მიტოვებული. ასევე მოხდა ბარნოვის ქუჩაზე, სადაც მხოლოდ სექტემბრის ბოლოს ამოავსეს ღრმა ტრანშეა, მაგრამ ნარჩენი ყამირი კვლავ ქუჩაში დატოვეს.

რაისაბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილება კი ყოველივე ამას ურიგდება, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს.

ი. ბაკარიძე.

კეთილმოუწყობელი სარკინიგზო ბაქანი

ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ხაზზე სოფელ კურსების ბაქანი მრავალი სოფლის მოსახლეობას უწევს მომსახურებას. მაგრამ ეს ბაქანი რკინიგზის უწყების უყურადღებობის გამო სრულიად კეთილმოუწყობელია. არ არის გადახურული ფარდული წვიმის დროს თავშესაფარებლად, არც ბაქანია ისე მოწყობილი, რომ ვაგონებში ასვლა-ჩამოსვლა ადვილი იყოს. დიდი დახელოვნებაა საჭირო, რომ ამ ბაქნიდან კაცი ვაგონში ავიდეს, ან ვაგონიდან ჩამოვიდეს.

ვ. ჩოგოვაძე.

წვიმის სადენები ტროტუარებზე

თბილისის ზოგიერთი ქუჩის ტროტუარზე წვიმის დროს გავლა შეუძლებელია. წვიმის სადენი მილები ტროტუარის ფართობზე ისეა „გაბიზნული“, რომ კაცმა „უშიხაოდ“ ვერ მოახერხოს გავლა. ასეთი ქუჩებია — ჭავჭავაძის, ბესიკის, ბელინსკის, ჯანაშიას, ბარნოვის, კალინინის, ორჯონიკიძის და ვინ მოთვლის რამდენი სხვა.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უნდა განიხილოს ეს საკითხი და მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რომ ფაკეთონ სახლებს წესიერი სადენი მილები. სხვა არა იყოს რა, ეს „შხაპები“ ტროტუარებს ანგრევს და შემდეგ მათ შეკეთებაზე ცოტა თანხა როდი იხარჯება.

ა. სონღულაშვილი.

გაგრის რაიონის სოფელ ლეხელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწყობილია საბავშვო ბაღი, სადაც უვლიან კოლმეურნეთა ვა ბავშვს. **სურათზე:** აღმზრდელი დ. მურსმანიძე წიგნს უკითხავს ბავშვებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ხელოვნების ქრონიკა

მესხიშვილის თეატრი ახალ სეზონში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ენერგიულად მოემზადა ახალი სეზონისათვის.

თეატრი სეზონს ხსნის ი. ვაკელის ისტორიული დრამით „გიორგი საკაძე“. დადგმას ახორციელებს თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ყუშიტაშვილი, მხატვრულად აფორმებს ნ. ასკურავა, მუსიკას წერს სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი. თეატრს განზრახული აქვს სპექტაკლში უჩვენოს არა მარტო გმირთა, არამედ ქართველი ხალხის, კერძოდ, გლეხების თავდადებული ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

თეატრს რეპერტუარში შეტანილი აქვს ვ. გაბესკირიას თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესა „უფსკრულთან“ და ი. ვაკელის — „საქმიანი კაცი“.

რუსული კლასიკური მემკვიდრეობიდან დაიდგმება ფონვიზინის „ზრდადაუმთავრებელი“ („ნედოროსლ“). აღსანიშნავია, რომ ფონვიზინის ნაწარმოები პირველად იდგმება ქართულ სცენაზე.

ჭიათურის თეატრში

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა (დირექტორი და მთავარი რეჟისორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი პ. ფრანგიშვილი) მორიგი სეზონი გახსნა ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივით“ (ინსცენირების ავტორი გ. ბერძენიშვილი).

ახალ სეზონში თეატრის კოლექტივი განაახლებს თავის საუკეთესო დადგმებს, მაყურებელს უჩვენებს ახალ სპექტაკლებს. დადგმულ იქნება: ვ. გაბესკირიას პიესა „უფსკრულთან“, მ. ბარათაშვილის „მაღალი ოცნება“, ს. კლდიაშვილის „დღესასწაული საკრეულაში“, ფ. თაქთაქიშვილის „უკანასკნელი ნიღაბი“, ს. მიხალკოვის „კიბოები“, ა. ოსტროვსკის „დაგვიანებული საყვარული“. ეს ორი უკანასკნელი პიესა ქართულ ენაზე პირველად ჭიათურის თეატრში დაიდგმება.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს მოწოდება

ბერლინი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მომავალ მე-4 წლისთავთან დაკავშირებით დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა მოწოდება. მოწოდებაში, კერძოდ, ნათქვამია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სახელმწიფოა მუშებისა და გლეხებისა, გერმანელი ერის ყველაზე ერთგული შვილებისა, რომლებიც შეუდრეკლად იბრძვიან მშვიდობის განმტკიცებისა და ეროვნული ერთიანობის განხორციელებისათვის.

გერმანელ ხალხს თავის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დიდი და ძლიერი მეგობრები ჰყავს. ამას მოწმობს მოსკოვის 1953 წლის 20-22 აგვისტოს მოლაპარაკების შედეგი. ამ მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა მთავრობამ და საბჭოთა ხალხმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გაუწიეს დიდსულოვანი პოლიტიკური და მატერიალური დახმარება და შესაძლებლობა მოგვეცა კვლავაც განვამტკიცოთ ჩვენი რესპუბლიკა და უფრო სწრაფად და წარმატებით განვახორციელოთ ჩვენი მთავრობის ახალი კურსი.

საბჭოთა მთავრობის 1953 წლის 15 აგვისტოს და 28 სექტემბრის ნოტები დასავლეთის სახელმწიფოებისადმი ცხადყოფენ, რომ საბჭოთა ხალხს ღრმად აქვს შეგნებული გერმანელი ერის სასიცოცხლო საკითხები. წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით, მათ შორის წინადადება იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ კონფერენციაში გერმანიის პრობლემის განხილვის დროს მონაწილეობა მიიღონ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა, ყველა გერმანელის ეროვნულ მოთხოვნას გამოხატავენ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავი აღინიშნება იმისათვის ბრძოლის გაძლიერებით, რომ განხორციელდეს ეროვნული მოთხოვნა: „გერმანელებო, ერთ მაგიდასთან“. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ურთიერთგაგების დამყარების გზით. ამ მთავრობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მოწყობა და ამით ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანიისათვის წინაპირობების შექმნა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის მშვიდობისა და დემოკრატიული ერთიანობისათვის ბრძოლის ბასტიონია. ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მთელი ძალონე მოახმაროს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გაძლიერებასა და განმტკიცებას, ჩვენს წინაშე მდგომი დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით და მალე განხორციელებას. ამას მოითხოვს ჩვენ ქვეყანაში ... ძლიერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ადენაუერისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური კაპიტალის სამხედრო გეგმების ჩაფუშვის საუკეთესო გარანტიაა.

გეგმები ბონელი მილიტარისტებისა და სამშობლოს მოღალატეებისა, რომლებსაც ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა საშუალებით სურთ უფსკრულში გადაჩეხონ ჩვენი ხალხი, ჩაიფუშება, ისევე როგორც ჩაიფუშა ფაშისტთა პუტჩი, რომელიც მათ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ მოაწყეს 17 ივნისს. ეს პუტჩი უნდა ჩაფუშულიყო, რადგან ჩვენი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ჩაშალა მშვიდობის მტერთა მოქმედება, ხოლო მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირმა დაანახვა აგრესორებს, რომ მშვიდობის მსოფლიო ბანაკში შეუძლებელია მათი პროვოკაციების განხორციელება.

ჩვენი რესპუბლიკა მშვიდობის მძლავრი ბანაკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ჩვენმა რესპუბლიკამ ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის სიმპათია და მეგობრობა დაიმსახურა. მშვიდობიანი მშენებლობის დიდი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ხორციელდება, დღემდე უზრუნველყოფდა პროგრესს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ვაჭრობის, მეცნიერებისა და ხელოვნების, განათლებისა და სპორტის ყველა დარგში. დემოკრატიულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რაც ჯერ არასოდეს არ ყოფილა გერმანიაში, რესპუბლიკის მშრომელებმა და განსაკუთრებით აქტივისტებმა, მოწინავე გლეხებმა, დამსახურებულმა მეცნიერებმა, შრომის გმირებმა და ეროვნული პრემიის ლაურეატებმა გვიჩვენეს პატრიოტიზმის ნიმუშები. მუშათა, ერთპიროვნულ გლეხთა, კოოპერაციული ამხანაგობების წევრთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა გულმოდგინებამ და შრომის დისციპლინამ განამტკიცა რესპუბლიკა და შესაძლებელი გახადა განუწყვეტლივ გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები საქონლის მიწოდების მუდმივი გადიდების, ფასების არაერთხელ შემცირებისა და ხელფასის გადიდების გზით...

ჩვენი მთავრობის ახალი კურსის შედეგად კვლავაც გაუმჯობესდება ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების პირობები, განმტკიცდება მუშათა და გლეხთა ხელისუფლება და, ამრიგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სულ უფრო გახდება მომავალი ერთიანი დემოკრატიული გერმანიის ნიმუში. ამ ეროვნულმა ამოცანამ სიამაყის გრძნობით უნდა აღავსოს ჩვენი რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე და აღაფრთოვანოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კიდევ უფრო დიდი შრომითი გმირობისათვის.

დავიარაზმებით რა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის პატრიოტული სახალხო მოძრაობის „გარშემო და დავამყარებთ რა ძმურ კავშირს დასავლეთ გერმანიის მებრძოლ პატრიოტებთან, მშვიდობის, ერთიანობისა და კეთილდღეობისაკენ წავიყვანთ ჩვენს ხალხს“.

ამერიკელ იმპერიალისტთა ხრიკები ირანში

საერთაშორისო თემაზე

უკანასკნელ ხანს გაძლიერებული ყურადღება მიექცა ირანის ამბებმა, სადაც მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ირანის მთავრობის სათავეში მოექცა გენერალი ფავზოლა ზაჰედი.

ამ უკანასკნელ პერიოდში ირანის პოლიტიკური ცხოვრებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ნავთობის საკითხი, რომელიც ნაციონალიზებულ იქნა ირანის მეჯლისის მიერ, მაგრამ ინგლისმა ეს არ ცნო და „უკანონოდ“ მიიჩნია. ამასთან ინგლისმა ირანს ეკონომიური ბლოკადა მოუწყო. ინგლისთან ერთად გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ცხადია, არა ინგლის-ირანის კონფლიქტის მოსაგვარებლად, არამედ ირანის ნავთობის ხელში ჩაგდების მიზნით. ამერიკამ ირან-ინგლისის კონფლიქტში „შუამავლის“ როლი იკისრა. გახშირდა მისიების ჩამოსვლა ამერიკიდან ირანში. როდესაც ეკონომიური ბლოკადით და დიპლომატიური ზეგავლენით ვერ აიძულეს ირანი დათმობაზე წასულიყო, ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები აშკარა პროვოკაციულ მოქმედებაზე გადავიდნენ.

ჯერ კიდევ 1952 წლის ივლისში უცხოელმა იმპერიალისტებმა სცადეს ირანის პრემიერ-მინისტრად დაეყენებინათ მილიონერი კავამ-ეს-სალტანე, მაგრამ ეს ცდა ჩაიფუშა. მთავრობის მეთაურად ისევ მოსადიკი დარჩა.

მომდინარე წლის თებერვალში ირანში მეორედ მოხდა სახელმწიფო გადატრიალების ცდა. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ შაჰის სასახლის მინისტრი ჰოსეინ ალა, იმ დროს გადამდგარი გენერლები ზაჰედი და ჰეჯაზი, სასულიერო მოღვაწე მეჰმედხანი და სხვა რეაქციონერები, რომლებსაც ემხრობოდნენ ბახტიართა ტომები. შეთქმულების მონაწილეთა მთავარი დასაყრდენი იყვნენ შაჰი და ამერიკის ელჩი ჰენდერსონი.

შეთქმულების მონაწილეთა მიზანი იყო გადაეყენებინათ მოსადიკი და მის ადგილზე დაესვათ ამერიკელ-ინგლისელ კოლონიზატორთა სასურველი გენერალი ზაჰედი, რეაქციონერი ბაგბი ან ჰოსეინ ალა. მაგრამ მოსადიკმა დროულად მიიღო საჭირო ზომები: შეთქმულების მონაწილენი დააპატიმრეს, ხოლო ბახტიარების ტომთა აჯანყება ლიკვიდირებულ იქნა.

ამრიგად, სახელმწიფო გადატრიალების მეორე ცდაც ჩაიფუშა, მაგრამ მოსადიკის მოწინააღმდეგეთა მოქმედება გრძელდებოდა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ მეჯლისის წევრი-ოპოზიციონერები საშუალებას არ აძლევდნენ მოსადიკს განეხორციელებინა მთელი რიგი საჭირო ღონისძიებანი.

უცხოეთის აგენტების ძირგამმთხრელი მუშაობა სულ უფრო იზრდებოდა. აუცილებელი იყო მათ წინააღმდეგ რეალური ზომების მიღება. მეჯლისში ზოგიერთი იმ დეპუტატის ძირგამმთხრელი საქმიანობის აღსაკვეთად, რომლებიც უცხოეთის ინტერესებს ემსახურებოდნენ, მოსადიკის მთავრობამ მომდინარე წლის აგვისტოში მოაწყო საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა: საჭიროა თუ არა ვადამდე დათხოვნილ იქნას მეჯლისის ახლანდელი შემადგენლობა? მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მეჯლისის ვადამდე დათხოვნას. საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის შედეგებმა უდიდესი შიში გამოიწვია რეაქციულ წრეებში. უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტთა ბუდე — სენატი ადრევე იყო დათხოვნილი. ახლა მათ ხელიდან ეცლებოდათ ბათთვის ხელსაყრელი შემადგენლობის მეჯლისიც.

უცხოეთის აგენტების მოქმედება გაძლიერდა. თებერვლის შეთქმულების ზოგიერთმა მონაწილემ (გენერალი ზაჰედი და სხვ.) თავი დააღწია პატიმრობას და ხელახლა დაიწყო მზადება ახალი სახელმწიფო გადატრიალებისათვის. მეორე მხრივ ირანში ინგლისის საელჩოს დახურვის შემდეგ, გაძლიერდა ამერიკის ეკონომიური და პოლიტიკური ზეგავლენა ირანზე. ამერიკის შეერთებული შტატები ერთი მხრივ ხელს უწყობდნენ ირან-ინგლისის მოლაპარაკების გაჭიანურებას, ცდილობდნენ ირა ამავე დროს აეძულებინათ ირანი უსიტყვოდ მიეღო ამერიკის წინადადებები, მეორე მხრივ კი ეკონომიური „დახმარების“ საფასურად ირანისაგან მოითხოვდნენ „შუა აღმოსავლეთის სარდლობაში“ შესვლას. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ირანს თავისი ნავთის მსოფლიო ბაზარზე გაყიდვის საშუალებას არ აძლევდნენ.

მიმდინარე წლის 29 ივლისს ეიზენჰაუერმა მოსადიკს მიმართა სპეციალური წერილით, სადაც იგი მოითხოვდა ირანის მთავრობის პოლიტიკის შეცვლას ნავთის საკითხში და ემუქრებოდა, რომ ამერიკა არ იყიდდა ირანის ნავთს, არ აღმოუჩენდა ირანს ეკონომიურ „დახმარებას“, სანამ ირანის პოლიტიკა არ შეიცვლებოდა. ამასთანავე ეიზენჰაუერი მოსადიკს ჰპირდებოდა ეკონომიურ „დახმარებას“, თუ ეს უკანასკნელი მიიღებდა ამერიკის წინადადებას ნავთის საკითხში.

როდესაც ვერც დიპლომატიურმა ზეიმოქმედებამ, ვერც მუქარამ და ვერც ეკონომიურმა ბლოკადამ ვერ გაჭრა, ამერიკელ-ინგლისელმა იმპერიალისტებმა გადაწყვიტეს სახელმწიფო გადატრიალების გზით ბოლო მოეღოთ მოსადიკის მთავრობისათვის. ამერიკის პრესა მთელი ძალღონით ეწეოდა მოსამზადებელ მუშაობას. გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ წერდა: ირანში სახელმწიფო გადატრიალება აუცილებელია, „ვინაიდან ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა უარესდებაო“. იგი დასძენდა, „მოსადიკის მთავრობა მომდინარე წელს დაეცემაო“. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ირანს აქვს უდიდესი სიმდიდრე ნავთის სახით“ და რომ „მას მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა უჭირავს“. აქედან ცხადია, თუ რა აინტერესებთ ამერიკელ იმპერიალისტებს.

ირანში ახალი სახელმწიფო გადატრიალების ცდა მოხდა მომდინარე წლის 15 აგვისტოს ღამით. შეთქმულების მონაწილენი ემყარებოდნენ შაჰის, შაჰის გვარდიისა და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერას, ხოლო მისი უშუალო მეთაურები იყვნენ გენერალი ზაჰედი და შაჰის გვარდიის მეთაური პოლკოვნიკი ნასირი. სახელმწიფო გადატრიალების გეგმა დიდი ხნით ადრე იყო შემუშავებული რეაქციული ძალების მიერ. ფრანგული გაზეთის „ტრიბუნ დე ნასიონის“ ცნობით, მოსადიკის მთავრობის ჩამოგდების გეგმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში იყო შეთანხმებული ვაშინგტონთან და ლონდონთან. ირანული გაზეთი „შაჯაათი“ 14 აგვისტოს წერდა, შაჰის სასახლე სახელმწიფო გადატრიალებისათვის ემზადებაო, და ასახელებდა შეთქმულების მონაწილეთა გვარებს.

უცხოეთის პრესა შეთქმულების მთავარ ორგანიზატორად ასახელებდა ამერიკელ გენერალ შვარცკოპფს, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების წინადღეებში ჩავიდა ირანში, შეხვდა შაჰსა და სხვა რეაქციონერებს. ნორმან შვარცკოპფს, როგორც ამერიკელ პოლიციელს, კარგად იცნობენ ირანში. იგი ამერიკელი „მრჩეველის“ სახით პირველად 1942 წლის ოქტომბერში გამოჩნდა ირანში, რათა „დახმარებოდა ირანის მთავრობას ჟანდარმერიისა და პოლიციის რეორგანიზაციის საქმეში“. შვარცკოპფი ჯერ იყო ირანის ჟანდარმერიის „რიგითი მრჩეველი“, შემდეგ მისი უფროსი, ხოლო ირანში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ იგი აიძულა ჟანდარმერიის მთავარი სამმართველოს „მრჩეველად“ შეეფარებინა თავი. შვარცკოპფს დავალებული ჰქონდა ირანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა და ირანში ამერიკის პოზიციების განმტკიცება. მან ექვსი წელი დაჰყო ირანში. ამ ხნის განმავლობაში კარგად გაეცნო ირანის მმართველ წრეებს, დაუმეგობრდა ბევრ მათგანს, მათ შორის გენერალ ზაჰედის, რომელიც იმ დროს მინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

გენერალ შვარცკოპფის ირანში ჩასვლა იყო სიგნალი შეთქმულების მონაწილეთათვის. მისი ირანიდან წასვლის შემდეგ — 15 აგვისტოს ღამით მოხდა სახელმწიფო გადატრიალების პირველი ცდა. შეთქმულების მიზანი იყო მოსადიკის მთავრობის გადაყენება, ირანში სამხედრო დიქტატურის დამყარება და მთავრობის პოლიტიკის შეცვლა, კერძოდ ნავთის საკითხში, უცხოელ იმპერიალისტთა სასარგებლოდ. სახელმწიფო გადატრიალების ეს პირველი ცდა ჩაიფუშა. ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი თავისი მეუღლით ბაღდადში გაიქცა. შაჰის კავშირს შეთქმულების მონაწილეებთან მოწმობს ის ფაქტი, რომ მათ ხელში ჰქონდათ შაჰის წინასწარ გამზადებული ფირმანი (ბრძანება) მოსადიკის გადაყენებისა და მის ადგილზე გენერალ ზაჰედის დანიშვნის შესახებ.

სახელმწიფო გადატრიალების პირველი ცდის ჩაშლის მეორე დღეს ირანში ჩავიდა ამერიკის ელჩი ჰენდერსონი. მან სასწრაფოდ ინახულა მოსადიკი და ოფიციალურად განუცხადა, რომ ამერიკა ყოველმხრივ შეუშლის ხელს მის პრემიერ-მინისტრად დარჩენას და ურჩია გადამდგარიყო.

19 აგვისტოს შაჰის მომხრეებმა მოაწყეს ახალი გამოსვლა, ამჯერად უშუალოდ გენერალ ზაჰედის მეთაურობით, რომელიც ამ დროისათვის თეირანში ჩავიდა. შაჰის მომხრეებმა ხელთ იგდეს რადიოსადგური, მთავრობის დაწესებულებანი და ბანკები. მოსადიკი, მისი მთავრობის წევრები და მომხრეები დაპატიმრებულ იქნენ. ახალი მთავრობა შეადგინა გენერალმა ზაჰედიმ. თეირანში და ზოგიერთ სხვა ქალაქში გამოცხადდა სამხედრო წესები, აკრძალულ იქნა ყოველგვარი დემონსტრაციები და მიტინგები.

უცხოეთის პრესის ცნობით ვაშინგტონსა და ლონდონში დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ სახელმწიფო გადატრიალებას. ამერიკულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ ირანის ამბებს პირველ გვერდზე მიუძღვნა სპეციალური სტატია სათაურით: „ვაშინგტონი აღფრთოვანებულია ირანში მომხდარი გადატრიალებით“.

22 აგვისტოს შაჰი თვითმფრინავით დაბრუნდა ბაღდადიდან თეირანში. შაჰის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა საგანგებო ღონისძიებანი — 10 კილომეტრ მანძილზე აეროდრომიდან თეირანამდე ორ მწკრივად იდგნენ ჯარისკაცები. ფრანს პრესის საგენტოს ცნობით, ირანში კვლავ გრძელდება მღელვარება და მთავრობის რეპრესიები. ეს რეპრესიები მიმართულია დემოკრატიული ელემენტების, კერძოდ, ირანის სახალხო პარტიის (თუდე) წევრების წინააღმდეგ.

ამერიკელ მონოპოლისტებს სურთ ირანელ ბახტიარებსა და ტომთა ბელადებს ... ირანის ბუნებრივი სიმდიდრენი. გაზეთი „ურლ-სტრიტ ჯორნელი“ ირანისადმი ამერიკის ყოველგვარ „დახმარებას“ უკავშირებს იმას, რომ „ირანის ახალი მთავრობა არ იქნება სოლიდარულ ურთიერთობაში რუსეთთან“ და „დაამყარებს მეგობრულ კავშირს დასავლეთთან“.

ირანის პრემიერმა ზაჰედიმ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში დაიწყებს ინგლისთან მოლაპარაკებას ნავთის საკითხის შესახებ. ირანული ჟურნალის „თეჰრანე მოსავარის“ ცნობით, ირანის მთავრობა ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას ირანის არმიის „ამერიკანიზაციისათვის“. იმავე ჟურნალის ცნობით, ირანის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს შეისყიდოს ამერიკაში რეაქტიული თვითმფრინავები, ჩქარი კატერები, ტანკები, ქვემეხები და სხვა სამხედრო შეიარაღება, ამასთან ირანის არმიის ოფიცრები სწავლის მიზნით გაგზავნოს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პირველ სექტემბერს ამერიკის ელჩმა ჰენდერსონმა და პრემიერ-მინისტრმა ზაჰედიმ წერილებით მიმართეს ერთმანეთს. ჰენდერსონის წერილში ნათქვამია, რომ ამერიკა ირანს „დახმარებას“ აღმოუჩენს. როგორც ირკვევა, ამერიკა ირანს მისცემს ტექნიკური და ეკონომიური „დახმარების“ სახით 23.400 ათას დოლარს, სამხედრო „დახმარების“ სახით — 20 მილიონ დოლარს და ეგრეთწოდებული „უშიშროების ერთიანი ორგანიზაციის“ საფუძველზე — 45 მილიონ დოლარს.

ასეთი „დახმარების“ მიზანია ამერიკის ეკონომიური და პოლიტიკური გაბატონება ირანში და ირანის შეყვანა ყბადაღებულ „შუა აღმოსავლეთის სარდლობაში“. „ყველა ეს ფაქტი მოწმობს იმას, — წერდა „პრავდა“ მიმდინარე წლის 9 სექტემბერს, — რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები უწევენ რა ირანს ეგრეთწოდებულ „დახმარებას“, ისახავენ უაღრესად ანგარებითს მიზნებს: ისინი იკრებიან ამ ქვეყანაში, ერევიან მის საშინაო საქმეებში, არღვევენ მის სუვერენიტეტს და ცდილობენ ჩაბან ირანი სახიფათო სამხედრო ავანტიურაში“.

ი. ტაბალუა,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე კოლუმბიის წარმომადგენელი ურუტია ერთხმად არჩეულ იქნა კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარედ, ხოლო ისლანდიის წარმომადგენელი ტორსი — მომხსენებლად.

კომიტეტის თავმჯდომარის, ბელგიის დელეგატ ვან ლანგენჰოვეს მოკლე განცხადების შემდეგ პოლიტიკური კომიტეტი გადავიდა იმ საკითხების განხილვის რიგითობის დადგენაზე, რომლებიც გადაცემულია კომიტეტის განსახილველად.

კოლუმბიის წარმომადგენელმა შეიტანა საკითხების განხილვის ისეთი რიგი, რომლის დროსაც კორეის საკითხს უკავია უკანასკნელი — მეშვიდე ადგილი.

საბერძნეთის წარმომადგენელმა კარუმ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ მკვეთრად გააკრიტიკა ცდა — ხელი შეუშალონ კორეის საკითხის დაუყოვნებლივ განხილვას. როგორც ვიშინსკიმ აღნიშნა, შეუწყნარებელია, რომ პოლიტიკური კომიტეტი უგულებელყოფდეს იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც უქმნიან კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას. ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, რამდენადაც არსებობს სერიოზული დაბრკოლებანი და რამდენადაც ახლოვდება კონფერენციის გახსნის უკანასკნელი ვადა, პოლიტიკურმა კომიტეტმა პირველი უნდა განიხილოს კორეის საკითხი.

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დილის სხდომაზე არჩეულ იქნენ კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე და მომხსენებელი და მას შემდეგ, რაც სიტყვით გამოვიდა კოლუმბიის წარმომადგენელი, რომელმაც მოითხოვა, რომ კორეის საკითხი უკანასკნელ რიგში განეხილათ, სიტყვა აიღო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ. საბჭოთა დელეგატმა ცხადყო მთელი უსაფუძვლობა კოლუმბიისა და საბერძნეთის დელეგატების მოსაზრებებისა, რომელთა მიზანია კორეის საკითხის განხილვის გაჭიანურება, და კომიტეტის წევრთა ყურადღება მიაქცია მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც მოითხოვს ამ საკითხის დაუყოვნებლივ განხილვას.

ა. ი. ვიშინსკიმ კომიტეტის წევრებს მოაგონა, რომ როცა სსრ კავშირის დელეგაციამ წინადადება შემოიტანა დღის წესრიგის ცალკე საკითხად განხილულიყო გენერალური მდივნის მემორანდუმი (ეს მემორანდუმი შეიცავს აგრეთვე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის საკითხზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების სპასუხო ცნობების ტექსტებს), ამ წინადადების მოწინააღმდეგენი იმას ამტკიცებდნენ, რომ დღის წესრიგში უკვე არის პუნქტი „კორეის საკითხი“, რომლის განხილვისას შეიძლება ვიმსჯელოთ გენერალური მდივნის მემორანდუმზეო. სსრ კავშირის დელეგაციამ ჯერ კიდევ გენერალური კომიტეტის სხდომაზე მიაქცია ყურადღება იმას, რომ ზოგიერთი დელეგაცია აპირებს გადადოს კორეის საკითხი სესიის ბოლოსათვის, რათა გვერდი აუაროს მის განხილვას. სწორედ ასეც მოხდა. ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო, რომ ახლა სავსებით დადასტურდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი სხვა წევრი აპირებენ გვერდი აუარონ ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას, როგორიც არის კორეის საკითხი.

სსრ კავშირის დელეგაციას ასეთი განზრახვა მიაჩნია არასწორად და მცდარად. ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა ის ფაქტი, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები არ ეთანხმებიან რეზოლუციას, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 28 აგვისტოს კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის შესახებ, და შემოიტანეს თავიანთი წინადადებანი, რომელთა მიზანია კონფერენციის წარმატების უზრუნველყოფა. თვით ასამბლეის მიერ 28 აგვისტოს მიღებული რეზოლუცია, რომელიც გენერალურ მდივანს ავალებს წარმოადგინოს მოხსენება ამ რეზოლუციის შესრულების შესახებ, გულისხმობს ასამბლეის მიერ გენერალური მდივნის მემორანდუმის განხილვას. კორეის საკითხზე კონფერენციის წარმატებითი მოწვევისათვის საჭიროა რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს ამ საკითხში არსებული უთანხმოებანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გვერდი არ უნდა აუაროს ამ უთანხმოებათა განხილვას.

ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები, ისევე როგორც მათი მხარდამჭერი დელეგაციები, ისწრაფვიან რა გვერდი აუარონ კორეის საკითხის განხილვას, პრაქტიკულად აბრკოლებენ კონფერენციის მოწვევას.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ლოჯის წინადადებას, რომ თვით კონფერენციამ გადაჭრას თავისი [illegible]ადგენლობის საკითხი, როგორც ა. ი. ვი[illegible]კიმ ცხადყო, თვით ლოჯმა გამოამჟღავნა ამ წინადადების არასერიოზულობა და გვაგრძნობინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კონფერენციის შემადგენლობის საკითხში ისეთ თვალსაზრისს ადგანან, რომელიც ჩამოყალიბებულია ასამბლეის 28 აგვისტოს რეზოლუციაში.

ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატები და ისინი, ვინც მათ მხარს უჭერს, კონფერენციაზე მივლენ ინსტრუქციებით, რომლებიც ემყარება გენერალური ასამბლეის 28 აგვისტოს რეზოლუციას, რომელიც, როგორც ცნობილია, კონფერენციის შემადგენლობიდან გამორიცხავს ნეიტრალურ სახელმწიფოებს, როგორიც არიან, მაგალითად, ინდოეთი და აზიის სხვა ნეიტრალური ქვეყნები.

ა. ი. ვიშინსკიმ მტკიცედ მოითხოვა, რომ კორეის საკითხი კომიტეტში პირველი გაირჩეს და ხაზგასმით აღნიშნა ამ საკითხის მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა და სასწრაფე და ის, რომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე მცირე დრო, რაც კონფერენციის მოწვევამდე რჩება.

ა. ი. ვიშინსკიმ კომიტეტის ყურადღება მიაქცია ლი სინ მანის და მის მომხრეთა განცხადებას კორეის საკითხის ძალით გადაჭრის განზრახვის შესახებ. ეს განცხადება ქმნის სწორედ ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც, წესდების თანახმად, საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევა.

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა ახალი ომის საფრთხის საწინააღმდეგო ღონისძიებათა და საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხის დიდი მნიშვნელობა და მოითხოვა, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას მეორე რიგში — კორეის საკითხის განხილვისთანავე.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს კოლუმბიის წინადადებას და გაილაშქრეს სსრ კავშირის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი, რომელიც საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა, ამტკიცებდა, რომ ამჟამად საჭირო არ არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განიხილოს კორეის საკითხი, კერძოდ იმ მიზეზით, რომ ამჟამად კორეაში „წარმოებს მოლაპარაკება“, თუმცა ნამდვილად არავითარი მოლაპარაკება არ წარმოებს. მან განაცხადა, რომ „კომუნისტების“ (ლოჯი ასე უწოდებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს) პასუხები პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობის საკითხზე „არავითარ აფუძველს არ იძლევა“ გენერალური ასამბლეის მიერ კონფერენციის შესახებ 28 აგვისტოს მიღებული რეზოლუციის შესაცვლელად. ამით მან ერთხელ კიდევ გაბადა სადავოდ იმ თავისი საკუთარი წინადადების სერიოზულობა, რომ თვით კონფერენციამ გამსაზღვროს თავისი შემადგენლობა.

ლოჯმა აგრეთვე გამოთქვა აზრი, რომ უფრო ხანგრძლივი დროისათვის უნდა გადაიდოს კომიტეტში ბირმის წინააღმდეგ გომინდანელთა აგრესიის საკითხი და განაცხადა, რომ უახლოეს დროში შეიძლება მოხდეს ისეთი ამბები, რომლებიც „შეანელებენ დაძაბულობას ამ რაიონში“. უნდა აღინიშნოს, რომ ლოჯის ამ განცხადების პასუხად ბირმის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ბანგკოკში შეწყდა და რომ ამჟამად გომინდანელთა აგრესიის საკითხის წარმატებით გადაჭრის არავითარი იმედი არ არის. მან გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა გააჭიანუროს განხილვა ბირმის საჩივრისა მის წინააღმდეგ გომინდანელთა აგრესიული მოქმედების შესახებ.

ავსტრალიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ კორეის საკითხი გადაიდოს სესიის ბოლოსათვის, მაგრამ განაცხადა, რომ იგი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ შემდეგში შეიცვალოს პოლიტიკურ კომიტეტში საკითხების განხილვის რიგი. მან თქვა, რომ შეიტანს შესწორებას კოლუმბიის წინადადებაში, რომელიც ითვალისწინებს კომიტეტის დღის წესრიგში საკითხების რიგის შეცვლის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი ხმის უბრალო უმრავლესობით ამას საჭიროდ მიიჩნევს.

იუგოსლავიის დელეგატმა განაცხადა, რომ კორეის საკითხმა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო პრიორიტეტი უნდა მიიღოს კომიტეტში განხილვისას. მაგრამ მან დასძინა, რომ, მისი აზრით, საკალდებულო როდია ეს საკითხი კომიტეტის დღის წესრიგში პირველი დაისვას.

რაც შეეხება კოლუმბიის დელეგაციის წინადადებას, რომ მუშაობა დაიწყოს მაროკოსა და ტუნისის საკითხების განხილვით, ეგვიპტის წარმომადგენელმა, რომელიც არაბთა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად იმ დელეგატთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ყველაზე მეტად დაინტერესებული არიან ამ საკითხებით, განაცხადა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია ამ საკითხების განხილვა რამდენადმე გადაიდოს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატისა და მისი მხარდამჭერი სხვა დელეგატების გამოსვლებმა ცხადყო, რომ მათ არა სურთ განიხილონ კორეის საკითხი და თანაც ეს გამოსვლები აშკარად მოწმობენ იმას, რომ ისინი არ ესწრაფვიან, რომ გენერალურმა ასამბლეამ გააადვილოს კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევა, რომლის მთავარი ამოცანა უნდა იყოს კორეაში მტკიცე მშვიდობის დამყარება.

პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლებმა ენერგიულად დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებას.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ა. მ. ბარანოვსკიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მამისვლები იმას მოწმობენ, რომ ზოგიერთი ქვეყნის გარკვეულ წრეებში არსებობს აშკარა მისწრაფება გვერდი აუარონ იმას, რომ გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე განხილულ იქნას კორეის საკითხი და საბჭოთა წინადადება ახალი მსოფლიო ომის საფრთხის მოსპობის ღონისძიებათა შესახებ და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების შესახებ, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია და სასწრაფო განხილვას მოითხოვს. ა. მ. ბარანოვსკიმ ამასთან მოაგონა კომიტეტს, რომ ზუსტად ასევე, როგორც მათ ახლა სურთ, გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციები სესიის დასაწყისში დაჟინებით ცდილობდნენ, რომ კორეის საკითხი პოლიტიკური კომიტეტის დღის წესრიგში გადაეტანათ და გენერალური ასამბლეის მუშაობის ბოლოს განეხილათ. ხოლო როცა საქმე, ბოლოს, ამ საკითხის განხილვამდე მივიდა, ამ დელეგაციებმა სრულიად აუარეს გვერდი მის განხილვას და მიაღწიეს იმას, რომ საერთოდ იგი მეექვსე სესიაზე არ განხილულა.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა სასწრაფოდ განხილულ იქნას კორეის საკითხი, კერძოდ დელეგატების ყურადღება მიაქცია ლი სინ მანის პროვოკაციულ განცხადებებს, რომელთა მიზანია კორეაში საომარი მოქმედების განახლება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური კომიტეტი გვერდს ვერ აუხვევს ასეთ განცხადებებს და მან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს.

პოლონეთის წარმომადგენელმა მ. ნაშკოვსკიმ და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ვ. დავიდმა თავის მხრივ აგრეთვე მოიყვანეს დამაჯერებელი არგუმენტები სსრ კავშირის დელეგაციის წინადადების სასარგებლოდ.

დილის სხდომაზე დისკუსიის ბოლოს მეორედ გამოვიდა ა. ი. ვიშინსკი. მან ცხადყო საბჭოთა წინადადების მოწინააღმდეგეთა არგუმენტების სრული უსაფუძვლობა. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის პოზიციის ულოგიკობამ, რაც სსრ კავშირის წარმომადგენელმა ცხადყო, ბევრჯერ გამოიწვია დელეგატების, აგრეთვე დამსწრე კორესპონდენტებისა და სტუმრების სიცილი.

ამით დაიხურა კომიტეტის დილის სხდომა.

დისკუსია გაგრძელდება კომიტეტის დღის სხდომაზე.

სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის სხდომა

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სალვადორის დელეგატის ურკიას თავმჯდომარეობით გაიმართა სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის პირველი სხდომა. კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარედ არჩეულია ფილიპინების წარმომადგენელი ლობესი, კომიტეტის მომხსენებლად — ავსტრალიის წარმომადგენელი ფორსაიტი.

კომიტეტმა მოკლე დისკუსიის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება — პირველი განიხილოს ახალი წევრების მიღების საკითხი, მეორე — სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის საკითხი. კომიტეტმა გადაწყვიტა სამხრეთ აფრიკაში რასობრივი კონფლიქტისა და პალესტინელი ლტოლვილების მდგომარეობის საკითხები განიხილოს შესაბამისი სრული მოხსენებების მიღების შემდეგ.

კომიტეტის სხდომაზე გავრცელებულ იქნა რეზოლუციის პროექტის ტექსტი, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხზე:

„გენერალური ასამბლეა სთხოვს უშიშროების საბჭოს კვლავ განიხილოს ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, ირლანდიის, იორდანიის, ავსტრიის, ცეილონის, ნეპალისა და ლიბიის განცხადებანი, რათა გამოიტანოს რეკომენდაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ყველა ამ სახელმწიფოს ერთდროულად მიღების შესახებ“.

პერუს დელეგაციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს „დაარსდეს კვითილი სამსახურის კომიტეტი ორგანიზაციის წევრი სამი სახელმწიფოს წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელთაც დაევალებათ ითანამშრომონ უშიშროების საბჭოს წევრებთან ისეთი შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობათა გამორკვევის მიზნით, რომელიც გააადვილებდა ახალი წევრების მიღებას, რომლებიც აკმაყოფილებენ წესდების მე-4 მუხლის მოთხოვნებს. კომიტეტმა საჭიროების მიხედვით უნდა მისცეს ინფორმაცია გენერალურ ასამბლეას“.

შეტანილ რეზოლუციების პროექტებს კომიტეტი განიხილავს შემდეგ სხდომაზე, რომელიც 2 ოქტომბერს გაიმართება.

ეიზენჰაუერის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გუშინ სიტყვა წარმოთქვა პრეს-კონფერენციაზე.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა მოაგონა ცნობა საბჭოთა კავშირში წყალბადის იარაღის შექმნის შესახებ და შეკითხვა მისცა ეიზენჰაუერს, თუ როგორია მისი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. ეიზენჰაუერმა უპასუხა: ცნობა, რომ სსრ კავშირს ეს ბომბი აქვს, ისეთი ფაქტია, რომელიც მთავრობას აიძულებს უფრო სერიოზულად შეისწავლოს იგი, ვიდრე რომელიმე სხვა მოვლენაო.

ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ის და მისი მრჩევლები გულმოდგინედ სწავლობენ ამ საკითხს.

ეიზენჰაუერმა გაიმეორა თავისი ჩვეულებრივი მოსაზრება „ძალის პოლიტიკის“ დასაცავად და კვლავ განაცხადა, რომ საჭიროა სამხედრო ასიგნობათა გადიდება.

პეკინს ჩავიდა იაპონიის დელეგაცია

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). 30 სექტემბერს პეკინს ჩამოვიდა იაპონიის პარლამენტის დეპუტატთა და საქმიანი წრეების წარმომადგენლთა ჯგუფი 24 კაცის შემადგენლობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი საპარლამენტო ლიგის წარმომადგენლები (ლიგაში შედის პარლამენტის 335 დეპუტატი).

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების გზების გამოძებნა.

დელეგაციის გამგზავრებას წინ უსწრებდა ფართოდ გაჩაღებული მასობრივი მოძრაობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობისა და მეგობრული კავშირის დასამყარებლად. ეს მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ამა წლის ზაფხულში იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატამ საზოგადოებრიობის ზეგავლენით მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ჩინეთთან ვაჭრობაში შეზღუდვების შენელებისაკენ.

კლეტს-მილსის წერილი ჩერჩილისადმი

ლონდონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის პრესის ცნობით, ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. პლეტს-მილსმა პირადი წერილი გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს და მოუწოდა მას გადადგას ნაბიჯები საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად. თავის წერილში პლეტს-მილსი მოაგონებს, რომ არსებობს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, რომ ორივე ქვეყანა ერთობლივად იმოქმედებს მჭიდრო და მეგობრული თანამშრომლობის პირობებში.

დამთავრდა ჭადრაკში სსრ კავშირის გუნდური პირველობა

ლენინგრადელ მოჭადრაკეთა გამარჯვება

ლენინგრადი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა ჭადრაკში სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება. წლევანდელი წლის შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 15 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის მოჭადრაკეთა ნაკრები კოლექტივები. წინასწარ შეხვედრათა შემდეგ, ფინალში, სადაც გათამაშდა ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის თასი, მონაწილეობის უფლება მოიპოვა 8 გუნდმა — რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ესტონეთის, ლატვიის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებმა.

მწვავე ბრძოლით მიმდინარეობდა ფინალური ტურნირი. ყველა 8 გუნდი გამარჯვებას ესწრაფვოდა. პირველი ტურების შემდეგ წინ აღმოჩნდნენ ლენინგრადელი მოჭადრაკეები, ლიდერს მიჰყვებოდა რუსეთის სფსრ გუნდი. შეხვედრებს ყველა 80 დაფაზე დაძაბული ხასიათი ჰქონდა. უკანასკნელი ტურისათვის ლენინგრადის გუნდს ჰქონდა 40 ქულა, რუსეთის სფსრ გუნდს — 35,5 ქულა, ლატვიის გუნდს — 31 ქულა, მოსკოვის გუნდს — 30,5 ქულა.

უკანასკნელ ტურში ლენინგრადელები ეთამაშებოდნენ ლატვიელ მოჭადრაკეებს. ბრძოლა დამთავრდა შედეგით 6:4 ლენინგრადის სასარგებლოდ. ასეთივე ანგარიშით მოსკოვის გუნდმა მოუგო რუსეთის სფსრ მოჭადრაკეებს. უკრაინისა და ბელორუსიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა აგრეთვე შედეგით 6:4 უკრაინელ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ამრიგად, პირველი ადგილი და სსრ კავშირის თასი ჭადრაკში მოიპოვა ლენინგრადის გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 46 ქულა. მეორე ადგილზეა რუსეთის სფსრ გუნდი — 39,5 ქულა. მესამე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი, რომელმაც ფინიშზე გაუსწრო ლატვიისა და უკრაინის გუნდებს. მოსკოველებმა მოაგროვეს 36,5 ქულა.

სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში

1 ოქტომბერს დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მეოთხედფინალური ასპარეზობა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად. თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 წუთით ადრე მოსკოვის დინამოელებმა შეძლეს თბილისელთა კარში 1 ბურთის გატანა და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 1 : 0.

• • •

2 ოქტომბერს დედაქალაქის „სტალინეცის“ სტადიონზე სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რიგის „დაუგავასა“ და სტალინოს „შახტიორის“ გუნდები. გაიმარჯვა „შახტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა ანგარიშით 2 : 1.

ამრიგად, სტალინოს „შახტიორი“ გავიდა ნახევარფინალში და შეხვდება მოსკოვის „დინამოს“.

ემილ გილელსის კონცერტები ბელგიაში

ბრიუსელი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა პიანისტმა ემილ გილელსმა კონცერტი გამართა ბელგიის უდიდეს მუშათა ცენტრში ქალაქ შარლერუაში.

კონცერტის დაწყებამდე ემილ გილელსის პატივსაცემად რატუშაში გაიმართა დარბაზობა. დარბაზობას ესწრებოდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრები და სხვ.

თბილისი

ქალაქის ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაზანის გუნდის კონცერტები

შვიდიოდე წლის წინათ ამ გუნდის წევრები ჯერ კიდევ რიაზანის ოლქის საკოლმეურნეო მინდვრებზე, ფაბრიკა-ქარხნებში, სარეწაო არტელებში მუშაობდნენ. ისინი ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს სწავლობდნენ თვითმოქმედ წრეებში, მუშაობისაგან თავისუფალ დროს. ახლა მათ შეადგინეს საუცხოო ანსამბლი, რომელიც ამყამად დიდ სცენებზე გამოდის რიაზანის ფარგლებს გარეთაც.

რიაზანის ხალხური გუნდის ხელმძღვანელმა, ბევრი კარგი სიმღერის ავტორმა ე. პოპოვმა თავისი გუნდის მონაწილეებს გამოუმუშავა შესრულების საუკეთესო პროფესიული ჩვევები. მათ აქვთ სასიამოვნო ხმები და თავისუფლად მღერიან ისეთ რთულ სიმღერებსაც, როგორიც არის გუნდის სიმღერა გლინკას ოპერაში „ივანე სუსანინი“.

რიაზანელთა პროგრამის ძირითად ნაწილს შეადგენენ ძველი და ახალი რუსული, მათ შორის რიაზანული სიმღერები — ლირიკული, საბრძოლო, შრომითი, სუფრული და სხვ. ყველა ისინი ცხადყოფენ მათი შემქმნელი ხალხის მაღალ ოჯალურ კულტურას, სულიერ სიმდიდრეს. ზოგიერთი მათგანის ავტორები არიან უბრალო ადამიანები. მაგალითად, სიმღერა „თოვლმა ბილიკები დაფარა“ დაწერა რიაზანის ოლქის სპასკის რაიონის კოლმეურნემ მარიამ იმოცკინამ.

გუნდს ჰყავს მოცეკვავეთა კოლექტივიც, რომელიც საუკეთესოდ ასრულებს სასიმღერო-საცეკვაო კომპოზიციას — „ქორწილი კოლმეურნეობაში“, რიაზანულ ფერხულს — „ტყის ნაპირას“.

რიაზანის ახალგაზრდა გუნდის გამოსვლებს თბილისში დიდი წარმატება ჰქონდა.

მ. ბოგრელიშვილი.

სურათზე: რიაზანის ხალხური გუნდი. მ. ვანკოვა და მ. უარკო ასრულებენ ხალხურ სიმღერას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

სასამართლო ქრონიკა

⊙ **საოჯახო ნივთების ქურდობისათვის** თბილისის კალინინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ რეციდივისტ შ. გულიევს მიუსაჯა ხუთი წლის პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

⊙ **ხულიგნობისათვის** თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ ა. ს. გაგნიძეს და თ. გ. ტოგონიძეს მიუსაჯა ხუთ-ხუთი წლის პატიმრობა და ორ-ორი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ფოტოატელიეებში

მოსახლეობის მომსახურების მიზნით ქალაქის ყველა რაიონში 20 ადგილას მოწყობილია არტელ „საქფოტოს“ ატელიეები. მუშაობს 60 ხელოსანი — ფოტოგრაფი, რეტუშორი და ლაბორანტი. გარდა ამისა, ქალაქში სურათის სასწრაფო გადამღები 7 პუნქტია.

ფოტოსურათების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით „საქფოტომ“ თავისი ატელიეებისათვის ხარკოვის ფოტომოწყობილობათა ფაბრიკიდან ჩამოიტანა 23 აპარატი.

რეკონსტრუქციის შემდეგ ამ დღეებში რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე გაიხსნება საჩვენებელი ფოტოატელიეები.

„საქფოტოსთან“ არსებობს სარეპროდუქციო საამქრო, რომელიც საწარმო-დაწესებულებათა დაკვეთით აკეთებს ნახაზებს, მოდელებს და სხვ. ფოტორეპროდუქციებს.

საკოლმეურნეო პროდუქტებით საკომისიო ვაჭრობა

ცეკავშირმა თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე მოაწყო კოოპერაციული საკომისიო ვაჭრობა კოლმეურნეობათა მიერ ჩაბარებული კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით.

29 სექტემბრიდან სტალინისა და კიროვის რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებზე ხუთ ადგილას წარმოებს საკომისიო ვაჭრობა. წალკის, დმანისის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, გარდაბნის და გორის რაიონების კოლმეურნეობებმა საკომისიოდ გასაყიდად უხვად გადასცეს კარტოფილი, კომბოსტო, ხილი, ყურძენი, ლობიო, ხახვი, ბადრიჯანი და სხვა ბოსტნეული, რაც ბაზარში არსებულ ფასებთან შედარებით 10-15 პროცენტით იაფად იყიდება.

ამ დღეებში კოოპერაციული საკომისიო ვაჭრობა საგრძნობლად გაფართოვდება.

სამომხმარებლო კოოპერაციას კარტოფილს, ბოსტნეულსა და ხილს საკომისიოდ გასაყიდად ჩაბარებენ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის კოლმეურნეობები.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად

მონაწილეობენ:

ჩინეთის და კორეის მსახიობები, აგრეთვე საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

დიდი პარადი-პროლოგი — **„ხალხთა მეგობრობა“** — დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 4 ოქტომბერს, დღის 2 **საბავშვო წარმოდგენა.** დასაწყისი I—12 ს., II—3 ს. ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი სპექტაკლები

(გარდაცვალების 20 წლისთავის გამო)

6 ოქტომბერს **აბესალომ და ეთერი**

7 ოქტომბერს **დ ა ი ს ი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

3 ოქტომბერს	ლ. დელიბი — **ლაკმე**
4 ოქტომბერს	დღის 12 საათზე პ. ჩაიკოვსკი — **ძოშები** საღამოს ლ. მინკუსი — **დონ-კიხოტი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მეუღლე ვარვარა, შვილები ჯამშერ, გულნაზი, ძმისწული თამარ, ცოლისძმა ლევან, რძალი ნენუ შვილით, ცოლისდები ტასო, ქეთო, ელენე, ოლა მაჭავარიანები იუწყებიან **ბაგრატ როსაფის-ძე ქაჯაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 8 ს. გამოსვენება 6-X, 5 ს. კამოს ქ. № 80.

არტელ „5 დეკემბრის“ მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ნიკოლოზ ლავრენტის-ძე გოგუაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, შვილები შალვა, გია, ნუნუ, დედა პელაგია, ძმა გრიგოლ ოჯახით, დები მერი, თინა, სიძე ე. გურგენიძე იუწყებიან, რომ 4-X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **დმიტრი გერასიმეს-ძე რამიშვილის** პანაშვიდი.

კოტე, თამარ, ელენე, თინა ზაუტაშვილები იუწყებიან დისწულისა და მამიდაშვილის **გიორგი ომანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-X, 5 ს. ბროსეს ქ. № 5.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **ნატალია მათეს ასულ ბებურიშვილის** გარდაცვალებას.

დ. გოგუა, ვ. ჯაველიძე, ი. გელოვანი, ი. სეფერთელაძე, ნ. ჭელ